



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ბარბარიანი

რეგულირების მიმდინარე რეფორმები საქართველოში და მათი
გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: დავით ნარმანია.

ეკონომიკის დოქტორი

თბილისი. 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება რეგულირების მიმდინარე რეფორმებს საქართველოში და მათ გავლენას დაგეგმვის პოლიტიკაზე. ნაშრომი მოიცავს: სატიტულო გვერდს, შინაარსს, ანოტაციას, შესავალ ნაწილს, ძირითად ნაწილს და დასკვნებს.

განხილულია რეგულირების 3 მიმდინარე რეფორმა: საპენსიო რეფორმა, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები და რეფორმები კონკურენციის სფეროში. თავდაპირველად ახსნილია აღნიშნული რეფორმების არსი, შემდგომ კი მათი გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე. რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს, შევისწავლე საქართველოში მოღვაწე 3 მსხვილი ბანკი: „ვითიბი ბანკ ჯორჯია“, „თიბისი ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“ და ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციების გავლენა მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნულ რეფორმას საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც ცალკეულ კომპანიებზე, ასევე მთლიანად ეკონომიკაზე და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მისი გავლენის შეფასება საქართველოში მოღვაწე წარმატებული ბანკების მაგალითზე.

კვლევა ჩატარებულია ზემოთ ხსენებულ ბანკებში და გამოკითხულ იქნა 100-მდე ადამიანი. კვლევის მიზანი იყო ნაშრომში განხილული რეფორმების მიმართ რესპოდენტების დამოკიდებულების დადგენა. კვლევის ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები, სადაც გაანალიზებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი და მოცემულია რეკომენდაციები.

Annotation

The thesis deals current regulatory reforms in Georgia and their impact on the planning policy. The work includes: title page, content, abstract, introductory part, main part and conclusion.

The thesis reviewed 3 reforms: pension reform, standards established by the National Bank and competition reform. Initially, the essence of these reforms and their impact on planning policy is explained. As for the practical part of the research, I investigated 3 large banks of Georgia: “VTB Bank Georgia”, “TBC Bank” and “Liberty Bank” and the impact of regulations established by the National Bank on their financial position. This reform can have a big impact both on individual companies and on the economy, and therefore I decided to evaluate its impact on the example of successful banks operating in Georgia.

The survey was conducted in the above banks and interviewed about 100 people. The aim of the survey was to find out how respondents relate to the reforms that are presented in the master's work. At the end of the thesis, conclusions are drawn in which the theoretical and practical parts are analyzed and recommendations are given.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
შესავალი	5
თავი 1. რეგულირების მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა	7
1.1 საპენსიო რეფორმა	7
1.2 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები	17
1.3 რეფორმები კონკურენციის სფეროში	26
თავი 2. რეგულირების მიმდინარე რეფორმების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე	34
2.1 საპენსიო რეფორმის გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე	34
2.2 ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე	49
2.3 კონკურენციის სფეროში მიმდინარე რეფორმების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე	54
თავი 3. რეგულირების მიმდინარე რეფორმების გავლენა ბიზნესზე (საბანკო სექტორში მომუშავე კომპანიების მაგალითზე)	62
3.1 „ვითიბი ბანკ ჯორჯია“	62
3.2 „თიბისი ბანკი“	67
3.3 „ლიბერთი ბანკი“	71
დასკვნები და რეკომენდაციები	77
გამოყენებული მასალები	86
დანართი	88

შესავალი

როგორც ვიცით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ როგორც ცალკეული ბიზნეს სექტორის, ასევე მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე. საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს, რომ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელოს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას. როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ში კვითხულობთ: „სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობით, სადაც კერძო სექტორი არაეფექტიანი და სუსტი იქნება.“¹ ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და არასაკმარისად განვითარებული ადამიანური რესურსები. სწორედ ამ მიმართულებით ცდილობს სახელმწიფო აქტიურ მუშაობას და რეფორმების დიდ ნაწილს ამ კუთხით ახორციელებს.

სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად მუშაობს რეგულირების რეფორმების შემუშავებაზე და ბოლო პერიოდში დიდი ნაბიჯები გადაიდგა წინ. ნაშრომში მოცემულია ის რეფორმები, რომლებმაც არაერთგვაროვანი შეფასებები მიიღეს როგორც დარგის ექსპერტებისგან, ასევე მოქალაქეებისგან. საპენსიო რეფორმის შესახებ საუბარი დიდი ხნის წინ დაიწყო და აქტიური განსჯის საგანიც გახდა, ამიტომ გადავწყვიტე ეს რეფორმა განმეხილა ნაშრომში და მეჩვენებინა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კონკურენციის სააგენტო აქტიურად საქმიანობს და ცდილობს გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ჯანსაღ კონკურენციას შეუწყობს ხელს ბაზარზე და ნაშრომში განხილულია დღევანდელი მდგომარეობა კონკურენციის სფეროში და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებების გავლენა ბიზნესზე. ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციების მიმართ საკმაოდ მაღალი ინტერესი იყო საზოგადოების მხრიდან, რადგან აღნიშნული რეფორმა ართულებს მოქალაქეების მიერ სესხის აღების შესაძლებლობას და ასევე თავად ბანკების მიერ გაცემული

¹<https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf>.

სესხების მოცულობასაც, რაც მთლიანად ეკონომიკისთვის შეიძლება გახდეს საკმაოდ დიდი ზიანის მომტანი.

აღნიშნული რეფორმებიდან ყველაზე საინტერესოა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები, რომლებიც პირდაპირ აისახება ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ გავლენის შესასწავლად გამოვიკვლიე საქართველოში მოქმედი 3 მსხვილი ბანკის ფინანსური მონაცემები 2019 წლის 1-ლ კვარტალში და ისინი შევადარე 2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებს. როგორც ვიცით, რეგულაციები ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან და შესაბამისად, დავინახავთ როგორი გავლენა იქონია მიმდინარე წელს ბანკების მიერ სესხების გაცემაზე ამ ცვლილებებმა.

კვლევა ჩავატარე ზემოთ ხსენებულ ბანკებში და გამოვიკითხე 100-მდე ადამიანი, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მთლიანად ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე რეგულირების რეფორმებთან დაკავშირებით. კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე სატელეფონო და პირისპირ ინტერვიუ. რესპოდენტთა უმრავლესობა არის ქ. თბილისიდან, ასევე მცირე ნაწილი არიან დასაქმებულნი აღნიშნული ბანკების ქ. ხაშურის და ქ. გორის ფილიალებში. კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის მაისი-ივნისის პერიოდში.

თავი 1. რეგულირების მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა

1.1 საპენსიო რეფორმა

როგორც ვიცით, საპენსიო რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა დღესდღეობით. მისი ნახვა შეიძლება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“. საინტერესო იქნება თუკი განვიხილავთ იმ საპენსიო მოდელებს, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანა იყენებს.

დაგროვებითი პენსია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საპენსიო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მთელი მოსახლეობის დაახლოებით 80% მონაწილეობს ევროპასა და აშშ-ში ამ სისტემაში, აზიის ქვეყნებში ეს რიცხვი დაახლოებით 40%-ია, ხოლო აფრიკის ქვეყნებში კი - 5%. საპენსიო გადახდების დაახლოებით 20%-ს უზრუნველყოფს არასახელმწიფო საპენსიო ფონდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

თითოეულ ქვეყანას საპენსიო უზრუნველყოფის განსხვავებული სისტემა აქვს. ეს სისტემები მოიცავენ სოციალური დაცვის სხვადასხვა სისტემას - სოციალურ სახელმწიფო უზრუნველყოფას, აუცილებელ სოციალურ დაზღვევას, პირად საპენსიო დაზღვევას და ა.შ. როგორც წესი, „დაგროვებითი“ და „განაწილებითი“ სისტემები სუფთა ფორმით იშვიათად გვხვდება, უმეტესად ვაწყდებით მათ შერეულ ვარიანტებს, რომელთა შორის განსხვავება იმაშია, რომ ერთ-ერთი ინსტიტუტი დომინირებს სხვებზე.

ევროპული ქვეყნები უმეტესად აქცენტს აკეთებენ ე.წ. სვეტებიან სისტემაზე (Pillar System). ამ სისტემაში საპენსიო სქემები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორია დაფინანსების პრინციპი, დაცულობის დონე და ა.შ.

პირველი სვეტი მოიცავს ისეთ მოდელს, რომლითაც ხდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის უზრუნველყოფა. ასეთ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ექიმები, ფერმერები და ა.შ. ეს სვეტი გულისხმობს საბაზისო, საწყის პენსიას.

რაც შეეხება მეორე სვეტს, იგი მოიცავს ისეთ შენატანებს, რომელსაც ახორციელებს დამსაქმებელი საკუთარი სურვილით. ამ დროს შეიძლება თანხის შეტანა მოხდეს იძულებით ან ნებაყოფლობით.

მესამე სვეტი გულისხმობს ისეთ შენატანებს, რომლებსაც დასაქმებულები აკეთებენ ინდივიდუალურად, ასევე იგი შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციებს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტში.

საპენსიო სისტემის ხარჯების შემცირებას ქვეყნები გამუდმებით ცდილობენ. ამ პროცესში მსოფლიო ბანკიც ერთვება, რომელიც აიძულებს სახელმწიფოებს, რომ განახორციელონ რეფორმები, რათა უკეთესი საპენსიო სისტემა შეიქმნას ქვეყანაში. ასევე საქართველოსაც მისცა გარკვეული რჩევები მსოფლიო ბანკმა ახალ საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით და ეს დოკუმენტი გამოსულია 2016 წლის მაისში. მასში მოცემულია რამდენიმე რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კარგი და რა ცუდი ამ კუთხით:

- ✓ საჭიროა ხარჯების შემცირება.
- ✓ საჭიროა კაპიტალის ბაზრის განვითარება.
- ✓ აუცილებელია პორტფელის დივერსიფიცირება.

ასევე დიდი ყურადღების გამახვილების ითხოვენ შემდეგ საკითხებზე:

- ✓ როგორია ნდობა სახელმწიფოსადმი, ვინ მოახდენს რეფორმის მართვას, ვინ შევა ამ სისტემის მმართველ საბჭოში?
- ✓ ექნებათ თუ არა ადამიანებს არჩევანი სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებით?
- ✓ როგორი იქნება საინვესტიციო საქმიანობა და ვინ მოახდენს მიღებული აქტივების მართვას? ²

როგორც ვიცით, ბოლო წლებში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად იზრდება. წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 2006 წელს ეს თანხა დაახლოებით 268 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ის 1.95%-ია, 2015 წელს კი აღნიშნულმა ხარჯებმა 1.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მშპ-ს 4.25%-ის ტოლია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხარჯი მომავალშიც გაიზარდოს, რის თქმის საფუძველსაც გვაძლევს ის, რომ იზრდება პენსიონერთა რაოდენობა, ეს კი, თავის მხრივ, ტვირთი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის და ამ ხარჯებმა შეიძლება 2060 წლისთვის მშპ-ს 10%-იან ზღვარს მიაღწიოს.³

საპენსიო რეფორმების განხორციელება დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ცვლილებებთან. სხვა ქვეყნების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ

² Bank, W. (April 5th, 2016). *Pension reform in Georgia*.

³ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2016 წლის მარტი). *საქართველოს საპენსიო რეფორმა*.

რეფორმას ბევრგან მოჰყვა დიდი მღელვარება. საინტერესო მაგალითია ჩინეთი. ექსპერტების ვარაუდით, თუკი ამ ქვეყანაში არ განხორციელდებოდა რეფორმა, მაშინ საპენსიო დეფიციტი 11-დან 119 ტრილიონამდე გაიზრდებოდა. ამ მდგომარეობაში არიან სხვა ქვეყნებიც, რომელთა საპენსიო დეფიციტი გამუდმებით იზრდება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის საპენსიო სისტემა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი გულისხმობს სახელმწიფო საპენსიო სისტემას, რომელიც არის დამყარებული გადანაწილებით პრინციპზე და ფიქსირებული პენსიების გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახდენს. რაც შეეხება არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას, მას მთლიანი ბაზრის უმნიშვნელო სეგმენტი უკავია, არ გააჩნია აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა ოპერირებისთვის და იმყოფება განვითარების საწყის სტადიაზე.


განვიხილოთ რეფორმის წინაშე არსებული გამოწვევები. საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობას განაპირობებს ორი მთავარი ფაქტორი:

- როგორც ვიცით, საქართველოს ეკონომიკა სუსტია იმისათვის, რომ სახელმწიფო საპენსიო სისტემის შენახვა შეძლოს, ბოლო წლებში კი სულ უფრო იზრდება საპენსიო ხარჯები.
- ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც აქტუალურია მოსახლეობაში პენსიონერთა ხვედრითი წილის ზრდის პრობლემა.

რეფორმის საჭიროება ასევე გამოწვეულია ისეთი ნეგატიური ფაქტორებიდან, როგორებიცაა:

- ✓ საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა.

სოციალური პენსიის მიმდებარე რაოდენობრივი ზრდის დინამიკა (2015-2060)



4

ცხრილი 1 წყარო:http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/Goverment_Report_on

- ✓ შობადობის შემცირება;
- ✓ სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის კლება;
- ✓ მიგრაციული პროცესები და ა.შ.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელი იქნება მოხუცების სათანადო პენსიით უზრუნველყოფა. კერძო დაგროვებითი მოდელი კი საპენსიო სისტემის დამატებითი ნაწილი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს სიტუაციის გამოსწორებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პენსია არ ჩამოუვარდებოდეს საარსებო მინიმუმს (რომელიც დღეის მონაცემებით 180 ლარამდეა) და ასევე, პენსია უნდა გაიზარდოს (სულ მცირე ინფლაციის პარალელურად ან ინფლაციაზე). გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

უშუალოდ საპენსიო რეფორმის განხილვისას დავეყრდნობი კანონს დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც 2017 წლის 31 ოქტომბერს იქნა მიღებული და იგი არეგულირებს დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ კანონის მიხედვით

⁴http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/Goverment_Report_on_pensions_Final_GEO.pdf . (n.d.).

დაგროვებითი პენსიის სქემა გულისხმობს დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს ბიუჯეტის მხრიდან თანადაფინანსებას.

კანონის თანახმად, თანადაფინანსების ამგვარი სქემა იქნება ქვეყანაში:

- დასაქმებული თავისი ხელფასის 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში;
- დასაქმებული, თავის მხრივ, დაუბეგრავი ხელფასის 2%-ს რიცხავს;
- სახელმწიფო დასაქმებულის და დამსაქმებლის მსგავსად 2%-ს რიცხავს.

როგორც ვხედავთ, მთლიანობაში დაიზოგება დასაქმებულის ხელფასის 6% და მისი დაბანდება მოხდება სხვადასხვა ინვესტიციაში საპენსიო ფონდის მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა 40 წლამდე დასაქმებული ადამიანისთვის. რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელსაც არ უნდა, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ სისტემაში და იგი არის 40 წელს გადაცილებული, შეუძლია თხოვნით მიმართოს საპენსიო სააგენტოს.

ეს საპენსიო სქემა ევროპის მრავალ ქვეყანაში მუშაობს წარმატებულად, თუმცა საკამათოა თუ როგორი ზეგავლენა ექნება მას ქართულ საპენსიო სისტემაზე და როგორ გაზრდის პენსიონერთა კეთილდღეობას.

საქართველოში საშუალო ხელფასი 900 ლარის ფარგლებში მერყეობს და ეკონომიკური ზრდის ტემპი არც თუ ისე მაღალია, შესაბამისად, იმის მოლოდინი, რომ 10 ან 20 წელიწადში ხელფასები მოიმატებს და ღირსეული პენსიის უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი, რეალურ სურათს არ ასახავს. დაგროვებითი საპენსიო მოდელის მუშაობას კი მყარი ეკონომიკური ზრდის გარანტიები და კარგად ფორმულირებული მაკროეკონომიკური გათვლები სჭირდება, რადგანაც ფინანსურ და ეკონომიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკფაქტორები ხელს შეუშლიან ამ სისტემის გრძელვადიან პერსპექტიულობას.

საპენსიო პოლიტიკის შემმუშავებლებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ საუკეთესო რეგულაციები ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით და ოპტიმალური მარეგულირებელი ნორმები საპენსიო ფონდების ინდუსტრიისთვის. ამასთანავე საჭიროა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისიის, მიზნების, მექანიზმებისა და კოდექსების შემუშავება. ასევე უნდა შემუშავდეს სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მხარის უფლება-

მოვალეობების გამიჯვნას, საუბარია საპენსიო სისტემის წევრებზე (საპენსიო შენატანების განმახორციელებლები), დამსაქმებლებზე და იმ კერძო კომპანიებზე, რომლებიც მოახდენენ ამ საპენსიო ფონდების მართვას. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ასევე კორპორაციული მართვის სტანდარტების უმაღლეს დონეზე დანერგვა და სხვადასხვა ინსტიტუტის როლის წინ წამოწევა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

თუკი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელ დირექტორთა ძირითადი მოვალეობა აქციონერთა ინტერესების დაცვაა, საპენსიო ფონდების შემთხვევაში პირველ რიგში გასათვალისწინებელი და დასაცავია საპენსიო ანარცხების განმახორციელებელი პირების ინტერესები.

ახალი საპენსიო სისტემის ალტერნატივას გვთავაზობს საპენსიო რეფორმის დამოუკიდებელი ექსპერტი მარტინ ჰუთსებაუთი. სანამ მის ალტერნატივას განვიხილავდით, საინტერესო იქნებოდა კიდევ ერთხელ გადაგველო თვალი ახალი საპენსიო რეფორმის რამდენიმე ძირითადი ასპექტისთვის. როგორც ვიცით, ახალი რეფორმა მოიცავს ჰიბრიდულ ნახევრად-სავალდებულო საპენსიო დაგროვების სქემას. ამ სქემის ალტერნატივა pay-as-you-გი სისტემა კი არც განიხილება. ასევე არაა ნახსენები სქემის მესამე საპენსიო სვეტი (pillar).

ევროპის მრავალი ქვეყანა იყენებს PAYG სქემას, რომელიც არის გამყარებული სახელმწიფო, ასევე კერძო, განსაზღვრული შენატანების სქემებით. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სისტემა კი PAYG-ის მაგივრად იქნება განსაზღვრული შენატანების დაგროვებითი სქემა.

PAYG მოდელში დღევანდელი დასაქმებულები იხდიან დღევანდელი პენსიონერების პენსიას. ამ თანხის გადახდა ყველა დასაქმებულისთვის სავალდებულოა. ამასთან ეს წარმოშობს პრობლემას იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის მიმღებთა რაოდენობა იზრდება და ამ დროს დასაქმებულთა საერთო რიცხვთან შედარებით, ხოლო ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები საკმარისი არაა წარმოქმნილი დეფიციტის დასაფარად. ამ დროს სახელმწიფოა ვალდებული, რომ დეფიციტი დაფაროს. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის საპენსიო დავალიანებას და ეკონომიკას ფისკალური არამდგრადობით ემუქრება. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოში საპენსიო ფონდში შენატანები სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის 40 წლამდე, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ თაობას ფაქტობრივად

ორმაგი გადასახადის გადახდა მოუწევს, რათა დააფინანსოს როგორც დღევანდელი პენსიონერები, ასევე, საკუთარი პენსიები მომავალში (საშემოსავლო გადასახადი და დამატებით 2%). გაზრდილი ხარჯები დამატებით ტვირთად დააწვება დასაქმებულებს. სხვადასხვა გათვლებით, საჭირო გახდება საშემოსავლო გადასახადის გაზრდა სულ მცირე 50%-ით.

იმისთვის, რომ საპენსიო ხარჯები და შენატანები დაბალანსდეს, საპენსიო სისტემამ მეტი გადასახადების მოგროვება უნდა შეძლოს არსებული დასაქმებულებისგან, რაც, თავის მხრივ, საბოლოო სარგებელსა და გადასახადს შორის პირდაპირი კავშირის არარსებობის გამო, საპენსიო შენატანის გადასახადის გაზრდას გამოიწვევს. ეს ყველაფერი, თავისი კუთხით, ხელს შეუწყობს უმუშევრობისა და არალეგალური/არაფორმალური საქმიანობის ზრდას.

ფორმალური სექტორი, სადაც დასაქმებულთა 65%-ია რეგისტრირებული (სოფლის მეურნეობაში ეს ციფრი 85%-ს აღწევს), ბუნებრივია, არ გადაიხდის შენატანებს და მოტივაციები არაფორმალური საქმიანობისთვის მხოლოდ გაიზრდება.

როგორც ვიცით, PAYG სისტემა არ ქმნის ისეთ აქტივებს, რის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა საინვესტიციო მიზნებისთვის. ევროპის ქვეყნების უმეტესობის ფარული საპენსიო დავალიანება ქვეყნის მშპ-ს რამდენჯერმე აღემატება. ფინანსური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა, რომელთაც დაგროვებითი საპენსიო სისტემები აქვთ, საპენსიო სისტემაში წარმოქმნილ ფისკალურ პრობლემებს გამუდმებით სისტემური რეფორმებით პასუხობენ. თუმცა საბერძნეთის, ირლანდიის და კიდევ ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ხშირად ვერ ხერხდება.


ამ მხრივ, საინტერესოა გერმანიის მაგალითის განხილვა, რომელიც საპენსიო ასაკის გაზრდას აპირებს 65 წლიდან 67 წლამდე (საქართველოში კი საპენსიო ასაკი 60 და 65 წელია). საპენსიო შენატანი გაიზრდება 20%-მდე 2020 წლიდან და 22%-მდე 2030 წლიდან (შედარებისთვის, საქართველოში 0%-ია). აღსანიშნავია, რომ გერმანია საპენსიო გასაცემლებზე მშპ-ის 11,4%-ს ხარჯავს იმ დროს, როდესაც ეუთო-ს საშუალო მაჩვენებელი 7,2%-ია. (საქართველოში ეს მაჩვენებელი 3%-ია).

ახალი საპენსიო სქემა არ მოიაზრებს სოლიდარობის ელემენტებს, რაც, თავის მხრივ, PAYG სქემებში არის გარანტირებული. ეს გულისხმობს იმას, რომ უმუშევრობის, ავადმყოფობის და სხვა პერიოდების დროს შენატანები არ განხორციელდება. ამ სისტემაში არ არის ასევე

საპენსიო კრედიტების შესაძლებლობა, ან მინიმალური უფლებების უზრუნველყოფა არასტანდარტული ან დაბალანაზღაურებადი მუშაკებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს სქემა ყველას საკუთარ თავზე ზრუნვისკენ მოუწოდებს. ამ სისტემის მართვა ხდება პოლიტიკური პირებით (მინისტრებით) დაკომპლექტებული სამეთვალყურეო ორგანოს მიერ, რომელშიც მონაწილეობას არ იღებენ სოციალური პარტნიორები.

ახლა უშუალოდ განვიხილოთ მარტინ ჰუთსეზაუთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული წინადადება. იგი გვთავაზობს ისეთ საპენსიო სისტემას, რომელიც, მისი თქმით, ზრუნავს მოქალაქეებზე და არავის ტოვებს სქემის გარეთ. იგი სამ სვეტს მოიცავს - გამლიერებულ სახელმწიფო საბაზისო პენსიას, ორდონიან მეორე სახელმწიფო სვეტს და განსაზღვრული შენატანების მესამე ნებაყოფლობით სქემას, რომელიც შეიძლება დაემატოს მოგვიანებით. მესამე სვეტს შეიძლება მიეცეს პროფესიული პენსიის ფორმა და იგი დაეფუძნება კოლექტიურ ხელშეკრულებებს და/ან პერსონალურ სქემებს.

მის შემოთავაზებულ ვერსიას შემდეგი სახე აქვს:



სურათი 1. წყარო: <http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/PensionGEO.pdf>

მისი თქმით, ორდონიანი მეორე სვეტის სისტემა მნიშვნელოვან შედეგს 2020 წლის 1 იანვრიდან მოიტანს PAYG სვეტის მეშვეობით, ხოლო გრძელვადიან უსაფრთხოებას კი განსაზღვრული შენატანების დონე უზრუნველყოფს. ძალიან კარგი იქნება, თუკი PAYG დონე 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. ამ სქემაში როგორც დამსაქმებელი, ასევე მთავრობა 2%-ს რიცხავს ხელფასის იმ მოცულობაზე, რომელიც დასაქმებულის მიერ აღებული თანხის 24 000 ლარს არ აღემატება. დასაქმებული თავიდან რიცხავს 1%-ს, თუ მის მიერ აღებული ხელფასი 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა. შემდეგი 4 წლის განმავლობაში დამსაქმებლის

მიერ შეტანილი თანხა უნდა გაიზარდოს ყოველწლიურად 0,5%-ით და 2023 წლისათვის იგი 4%-ს მიაღწევს. PAYG ფორმულა შეიძლება ასეთი იყოს:

საშუალო ხელფასი მთელი კარიერის განმავლობაში შენატანების ზღვრის 50%-იანი ქვერით = 30.000 ლარს	X	დაგროვების კოეფიციენტი 0,5%	X	დაზღვეული წლების რაოდენობა
--	---	-----------------------------	---	----------------------------

სურათი 2. წყარო: <http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/PensionGEO.pdf>

მომავალი 45 წლის შემდგომ, საშუალო ხელფასის მქონე დასაქმებულის შემთხვევაში (1071 ლარი/ თვეში) გვექნება შემდეგი შედეგი: საშუალო ხელფასი x 0,5% x 45 წელი = 22.5%.

საბაზისო პენსიასთან ერთად, ჩანაცვლების კოეფიციენტი (პენსიის მოცულობა გაყოფილი საშუალო ხელფასის მოცულობაზე) საშუალო ხელფასის მქონე მუშაკისთვის იქნება 16,8% + 22,5%= 39,3%.

ამ PAYG სქემას ასევე ექნება ბუფერული ფონდი, რომელიც, თავის მხრივ, დაფარავს ისეთ პერიოდებს, რომლის განმავლობაშიც თანხის შეტანა არ მოხდება ფონდში (6 თვიანი უმუშევრობა და ავადმყოფობა, დეკრეტული შვებულება, და ა.შ.) და ასევე უზრუნველყოფს საპენსიო კრედიტებს დაბალხელფასიანი მუშაკებისთვის. იგი ძირითადად ისეთი შენატანებით დაფინანსდება, რომელიც იქნება კონტრიბუციის ჭერსა და ბენეფიტის ჭერს შორის. თუ საქართველოში ხელფასის სტრუქტურიდან გამომდინარე, ბენეფიტის ჭერი ძალიან მაღალი იქნება, მაშინ შესაძლებელია მოხდეს მისი დაწევა ფონდში მოთხოვნილი სოლიდარული საშუალებების ხარჯზე.

ავტორის თქმით, ამ სისტემის მართვა სამმხრივ საფუძველზე უნდა მოხდეს და ის ასევე უნდა იძლეოდეს პენსიაზე დროზე ადრე გასვლის საშუალებას ისეთი მუშაკებისათვის, რომლებსაც მძიმე და სახიფათო პროფესიები აქვთ.

ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაფუძნებული განსაზღვრული შენატანების სქემის დაფინანსება უნდა მოხდეს დასაქმებულთა შენატანებით. ამ სისტემის ზედამხედველობა უნდა მოხდეს როგორც სოციალური პარტნიორების, ასევე მთავრობის მიერ. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ გააკეთონ არჩევანი საპენსიო ფონდებსა და ჯგუფურ


დაზღვევაში ინვესტირებას შორის. ამ შენატანების შეგროვება უნდა მოახდინოს საპენსიო სააგენტომ.

მისი თქმით, უნდა მოხდეს შემდეგი ელემენტების განხილვა:

- წარმოების მასშტაბის ზრდით განპირობებული ეკონომია;
- დაბალი ადმინისტრაციული და საინვესტიციო ხარჯები;
- მობილობა;
- ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი;
- არჩევანი თანხის რეგულარულ მიღებასა და ერთიან მიღებას შორის;
- რისკების განაწილება საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საბაზისო პენსია, PAYG პენსია და დაფინანსებული (განსაზღვრული შენატანების) პენსია 45-წლიანი დაზღვევის სრული კარიერის შემდეგ უზრუნველყოფს დაუბეგრავი ჩანაცვლების კოეფიციენტს შემდეგი ოდენობით 16.8 % + 22.5% + (შეფასებით) 11 % = მთელი კარიერის განმავლობაში საშუალო ხელფასის დაახლოებით 50 %-ს.⁵

ასევე საინტერესო იქნება, თუკი ვნახავთ ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდის ტენდენციას მომავალში (ჩანაცვლების კოეფიციენტი გულისხმობს პენსიის შეფარდებას საშუალო ხელფასთან).



ცხრილი 2. წყარო: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government_ReportGEO.pdf

⁵ მარტინ ჰუთსეაუთი. (დეკემბერი 2017). *საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში*.

ასევე საინტერესო იქნება, განვიხილოთ ის შენიშვნები, რომლებიც აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით.

მათი თქმით, აუცილებელია, ხელისუფლებამ დაასახელოს ის ქვეყანა, რომლის გამოცდილებასთანაც ყველაზე ახლოს იქნება საქართველოს საპენსიო მოდელი. ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაშიც სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა (მაგალითად, უნგრეთი, პოლონეთი).⁶

კიდევ ერთი შენიშვნა საერთოა მარტინ ჰუთსებაუთის მოცემულ შენიშვნებთან, რომ შემოთავაზებული ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ე.წ. „ღირსეულ პენსიას“, რადგან სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 25% არის დაქირავებით დასაქმებული, 34% თვითდასაქმებულია, ხოლო 41% უმუშევარია ან სამუშაო ძალაში არ შედის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაქმებულთა 58.4% 40 და მეტი ასაკის ადამიანები არიან, რომლებზეც საპენსიო სქემაში ჩართვის ვალდებულება არ ვრცელდება. შედეგად, გამოდის, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 10.5%-ზე გავრცელდება.

1.2 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები

2018 წლის პირველ ნოემბერს გამოიცა ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ სესხების გაცემის ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით. აღნიშნული ბრძანებით ბანკებს დაუწესდათ შეზღუდვა სესხის გაცემასთან დაკავშირებით, მათ მკაცრად მოუწევთ შეაფასონ სესხის მსურველების გადახდისუნარიანობა და ვალდებულნი იქნებიან, რომ გაამკაცრონ სესხების გაცემის პოლიტიკაც. დეტალურად განვიხილოთ აღნიშნული ცვლილება.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეგულაცია სესხის მომსახურეობისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს აწესებს, რაც, თავის მხრივ,

⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2018 წლის 1 მარტი). *10 შენიშვნა საპენსიო რეფორმაზე*.

შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და საქართველო საბანკო სექტორის მახასიათებლებსაც ითვალისწინებს. კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობა საპროცენტო განაკვეთებისა და სესხის გამცემი ორგანიზაციების მიხედვით იქნება განსხვავებული.

ამასთანავე, რეგულაცია ყოველთვიურ გადახდებზე მაქსიმალურ ლიმიტს უწესებს სესხის გამცემს. მაგალითისთვის ავიღოთ ოჯახი, რომლის შემოსავალი შეადგენს 3000 ლარს. ამ შემთხვევაში სესხის მომსახურეობის ყოველთვიური თანხა 1350 ლარს არ უნდა აღემატებოდეს 15 წლიანი სესხის დროს, ხოლო 5 წლიანი სესხის დროს ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1650 ლარს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბანკს მაქსიმუმ შეეძლება 110 ათასი ლარის სესხი (12%-იანი საპროცენტო განაკვეთის დროს). თუკი დავეყრდნობით საერთაშორისო სტატისტიკას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამაზე უფრო დიდი რაოდენობის სესხის აღების შემთხვევაში იარსებებს იმის დიდი რისკი, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის მომსახურებას და შესაბამისად იგი დაკარგავს როგორც ახალ ნაყიდ ქონებას, ასევე უკვე მის მიერ გადახდილ თანხებსაც და ასევე შესაძლოა იპოთეკაში ჩადებულ ქონებასაც.

თუკი ავიღებთ შემთხვევას, როდესაც ოჯახის შემოსავალი შეადგენს 5000 ლარს, მაშინ მსესხებლის მიერ გადახდილი ყოველთვიური თანხა 2500 ლარს არ უნდა აჭარბებდეს (15 წლიანი სესხის შემთხვევაში) და ასეთ შემთხვევაში იპოთეკური სესხის მოცულობა 210 ათას ლარს არ უნდა აჭარბებდეს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული რეგულაციით თავდების გამოყენება საკრედიტო ინსტიტუტს არ ეზღუდება. სესხის გამცემს შეეძლება, რომ მსესხებელთან ერთად ასევე ფიზიკური პირის თავდებობაც გამოიყენოს, მაგრამ მხოლოდ იმ თანხის ოდენობის დროს, რის გადახდის რესურსიც ექნება თავმდები პირს. იმ შემთხვევაში კი, თუკი თავდები პირი იურიდიულ პირს, პარტნიორს ან აქციონერს წარმოადგენს, მაშინ თავდების მიერ სავალდებულო არ იქნება საკრედიტო კოეფიციენტების დაკმაყოფილება.

თუკი სესხის მსურველს არ აქვს შემოსავალი, მას შეეძლება რომ ყავდეს თანამსესხებელი, ამასთან სესხის მომსახურეობის კოეფიციენტში გაითვალისწინება როგორც მსესხებლის, ასევე თანამსესხებლის შემოსავალიც. ახალი მოთხოვნები არ შეეხება სესხის გადატანას სხვა ბანკში ან მის რესტრუქტურირებას. ეს კეთდება იმისათვის, რომ საბანკო სფეროში კონკურენცია არ

შეიზღუდოს. თუკი მსესხებელი მოისურვებს, რომ მოახდინოს მისი სესხის რესტრუქტურირაცია, რეფინანსირება ან სხვა საკრედიტო ინსტიტუტში გადატანას, ამ შემთხვევაში ეს არ ჩაითვლება, როგორც ახალი სესხის აღება და მათ არ შეეხებათ საკრედიტო კოეფიციენტების საზღვრები.

ახალი რეგულაციები არ კრძალავს იმ პირის მიერ სესხის აღებას, რომელიც არის არაფორმალურ სექტორში დასაქმებული და აქვს სტაბილური შემოსავალი. ასევე სესხის აღებას შეძლებს ის პირიც, რომელიც ხელფასს ნაღდი ანგარიშსწორებით იღებს. კომერციული ბანკი შეაფასებს სესხის მსურველის ფინანსურ მდგომარეობას და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემასთან დაკავშირებით. ამასთან, ასეთ დროს უფრო რთულია ზუსტად შეფასდეს სესხის მსურველის რეალური ფინანსური მდგომარეობა და, როგორც წესი, ბანკები ხშირად თავს იკავებენ, რომ ასეთ პირზე სესხი გასცენ. სესხის აღებას ასევე შეძლებს ის პირი, ვისაც შემოსავალი უმეტესად უცხოეთიდან ფულადი გზავნილების სახით აქვს. რეგულაციები არ ზღუდავს ასეთი პირის მიერ სესხის აღებას.

სესხის გაცემა ასევე დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუკი ვერ ხერხდება სესხის მსურველის შემოსავლის შესწავლა ობიექტური მიზეზების გამო. იპოთეკური სესხის გაცემა იქნება შესაძლებელი, თუკი პირის მიერ სასურველი ქონების ღირებულება დააკმაყოფილებს მის მიერ აღებული სესხის კოეფიციენტის 60% - იან მაჩვენებელს. მაგალითისათვის, თუკი პირს სურს 50 000 ლარიანი სახლის შეძენა, მაშინ ბანკს შეუძლია სესხად გასცეს მხოლოდ 30 000 ლარი და ახალი ქონების დაგირავება მოხდება ამ შემთხვევაში. ახალი რეგულაციები არ შეეხება ე.წ. სტარტაპ სესხებს და ამ შემთხვევაში სესხის გაცემა დამოკიდებულია უშუალოდ კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სესხის გამცემმა ორგანიზაციამ, სესხის დამუშავებისას უნდა გაითვალისწინოს სავალუტო რისკები, კერძოდ, ისეთი შემთხვევები, როდესაც მსესხებელს შემოსავლები სესხის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში აქვს ან როდესაც სესხზე მოქმედებს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი.

თუკი სესხის დაფარვის ვადა მსესხებლის პენსიაზე გასვლის პერიოდს აჭარბებს, მაშინ სესხის გამცემმა ორგანიზაციამ დამატებით დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს ის შემოსავლები, რითიც საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ

სესხის მომსახურება მოხდება. სახელმწიფო პენსიიდან მისაღები შემოსავალი არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას სესხის/კრედიტის დაფარვის წყაროდ.

განვიხილოთ ის შემთხვევაში, როდესაც სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ სესხი გაიცემა ტრანშებად (გადასახდელი თანხის ნაწილი). ასეთ დროს, ყოველი მომდევნო ტრანშის გაცემამდე, სავალდებულოა წინა ტრანშის მიზნობრიობის შესრულების გადამოწმება. თუ სესხის/კრედიტის ერთ-ერთი მიზნობრიობაა მსესხებლის სხვა ვალდებულების სრულად გადაფარვა, შემდეგი ტრანშის გაცემამდე სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებულია კლიენტს მოსთხოვოს ვალდებულების განულების დამადასტურებელი დოკუმენტი. რეკომენდებული საკრედიტო პროდუქტების შემთხვევაში (მათ შორის, საკრედიტო ბარათი, ოვერდრაფტი) დამატებით უნდა მოხდეს ლიმიტის გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

მსესხებლის დამატებითი გასამრჯელოსა და პრემიის გათვალისწინება სესხის მომსახურების კოეფიციენტის დათვლის მიზნებისათვის უნდა მოხდეს სესხის გამცემი ორგანიზაციის პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად. ამასთან, პრემია/დამატებითი გასამრჯელოს მიღება მსესხებლის/თანამსესხებლის მიერ უნდა ხდებოდეს რეგულარულად.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების/კრედიტების შემთხვევაში მსესხებლის/თანამსესხებლის შემოსავლების მიღების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ ბოლო 6 თვით (შემოსავლის წყაროს ცვლილების შემთხვევაში, დასაშვებია მაქსიმუმ 1 თვიანი წყვეტა). იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრება 20 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის - 10 წელი, სხვა დანარჩენი სესხებისთვის - 4 წელი. იპოთეკური სესხის შემთხვევაში სესხის გამცემი ორგანიზაციის მხრიდან, სავალდებულოა ხორციელდებოდეს მიზნობრიობის კონტროლი გონივრული პერიოდულობით.

უნდა ითქვას ისიც, რომ სესხის გამცემი ორგანიზაცია არაა ვალდებული მისი შიდა პოლიტიკა ეროვნულ ბანკს შეუთანხმოს, თუკი იგი ისედაც ახალი რეგულაციების მიხედვით იმოქმედებს. მათ უნდა იხელმძღვანელონ ისეთი პოლიტიკით, რომელიც მათ ფინანსურ სტაბილურობას არ შეუშლის ხელს და ასევე მსესხებლის ჭარბ-ვალიანობას არ გამოიწვევს. ახალი რეგულაციები ასევე ე. წ. მევახშეებსაც ეხებათ. შეზღუდვები დაუწესდება ეროვნული

ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ იმ სუბიექტებს, რომლებიც 20 - ზე მეტ პირზე გასცემენ სესხს.

სესხის აღებას შეძლებენ ისეთი პირებიც, რომლებიც სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენებენ ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ფასიანი ქაღალდები და დეპოზიტი. თუკი სესხის მსურველს არც ხელფასი ერიცხება და არც შემოსავალი არ აქვს, მაშინ მას შეუძლია სესხი აიღოს ფინანსური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის საფუძველზე. ახალი რეგულაციებით ასევე არ იკრძალება არც ლომბარდული სესხები. ამასთან, სესხის გაცემის მოთხოვნა მხოლოდ უზრუნველყოფაში წარმოდგენილი ქონებით იქნება შემოფარგლული და მსესხებლის სხვა ქონებაზე გადახდევინების დასაკუთრება ვეღარ მოხდება.

სესხის გამცემ ორგანოს ახალი რეგულაციებისაგან განსხვავებული პირობებით შეუძლია სესხის გაცემა, თუმცა ამ ორგანომ ეროვნული ბანკისგან წინასწარ უნდა მიიღოს თანხმობა, რომ თავიდან აიცილოს სესხის მსურველისათვის მაღალი საკრედიტო ტვირთის დაკისრება. სესხის აღება უცხოურ ვალუტაში შესაძლებელი იქნება იმ პირის მიერ, რომელიც შემოსავალს ლარში იღებს. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხოურ ვალუტაში სესხის აღებას თან ახლავს როგორც საპროცენტო, ასევე სავალუტო რისკებიც. თუკი პიროვნება სესხს დოლარში აიღებს, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ დოლარი საგრძნობლად გამყარდება ლარის მიმართ, მაშინ გადასახდელი თანხა გაიზრდება, და შესაძლოა მსესხებელმა ვერ შეძლოს ვალის გადახდა, რაც სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს. ამის გამო რეგულაციები უცხოური ვალუტის მიმართ საკმაოდ მკაცრ საკრედიტო კოეფიციენტებს განსაზღვრავს, რაც, თავის მხრივ, დაცვის აუცილებელ ბუფერს ქმნის სავალუტო რისკების შემცირებისათვის.

სესხის აღება შეეძლება ასევე მას, ვინც შემოსავალს ლარში იღებს, თუმცა მისი შემოსავალი უცხოურ ვალუტაზე არის ინდექსირებული ხელფასის გადახდის დღის კურსით. იმ შემთხვევაში, თუკი ხელფასის გადამხდელ ორგანიზაციას არ აქვს სავალუტო რისკი, სესხის აღება შესაძლებელი იქნება იმ კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სესხის ლარში აღების დროს. თუკი ორგანიზაციას სავალუტო რისკი აქვს, ამ შემთხვევაში უფრო დაბალი კოეფიციენტი იქნება გამოყენებული.

ასევე საინტერესო იქნება, თუკი დავაკვირდებით, თუ როგორ იცვლება სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) ახალი რეგულაციებით ისეთ რეგულაციებამდე პროდუქტებზე (საკრედიტო პროდუქტი, რომელსაც არ აქვს ფიქსირებული გადახდის წინასწარი გრაფიკი და საშუალებას აძლევს მსესხებელს დაფაროს და თავიდან აითვისოს წინასწარ დამტკიცებული თანხა), როგორცაა საკრედიტო ბარათი ან ოვერდრაფტი. ასეთი სახის სესხის დროს მომსახურების კოეფიციენტი (PTI) დაანგარიშებული იქნება ლიმიტის მოცულობით, რომელიც 4 წლიან პერიოდზე იქნება გათვლილი. მაგალითისათვის, თუკი ოვერდრაფტის ლიმიტი 1000 ლარს შეადგენს, მაშინ ყოველთვიურ გადასახდელებში იქნება გათვალისწინებული 28 ლარი დაახლოებით (წლიური 15%-ის შემთხვევაში).

სესხის აღებას ასევე შეძლებს ის პირიც, რომელიც აგრო სექტორშია დასაქმებული და ნაღდი ფულით აქვს ანგარიშსწორება და არა საბანკო ჩარიცხვით. ასეთ დროს სესხის გამცემი თავად აფასებს ფიზიკური პირის შემოსავალს თავისი შიდა პოლიტიკის შესაბამისად და სესხის მოცულობას ისე განსაზღვრავს, რომ შეძლოს შემდგომში სესხის დაფარვა და არ წარმოიშვას მსესხებლის ჭარბ-ვალდებულება.

განვიხილოთ ასევე ის ცვლილებებიც, რომლებიც შეეხება სესხზე მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ცვლილებები, რომლებიც საპროცენტო განაკვეთისა და სესხზე ხარჯის შემცირებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ სესხზე მაქსიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100-დან 50 პროცენტამდე მცირდება. მაგალითად, თუ 12-თვიანი სესხის მოცულობა 1000 ლარია, წლიური 100-პროცენტო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, თვეში გადასახდელი თანხა დაახლოებით 115 ლარს შეადგენს, 50-პროცენტო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში კი, 99.5 ლარი იქნება. მთლიანობაში, მომხმარებელს 1380 ლარის ნაცვლად, 1194 ლარის გადახდა მოუწევს. ანუ შეღავათი 186 ლარი იქნება. მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ძირითადად, მოკლევადიან და მაღალ რისკიან სესხებზეა.

ვადის გადაცილების შემთხვევაში, სესხზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლობისა და სხვა ხარჯების მოცულობა ნარჩენი თანხის 1.5-მაგ ოდენობამდე იზღუდება. მაგალითად, თუ სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის მოცულობა 1000 ლარია, ვადის გადაცილების შემთხვევაში, პროცენტისა და სხვა ხარჯების მაქსიმალური მოცულობა 1500 ლარი იქნება. ანუ

მოქალაქეს ჯამში მაქსიმუმ 2500 ლარის დაბრუნება მოუწევს. აქამდე კი მსგავსი რეგულაცია არ არსებობდა და მაქსიმალური ზღვარი დაწესებული არ ყოფილა.

პირობის დარღვევის შემთხვევაში, სესხზე ყოველდღიური ხარჯის მაქსიმალური მოცულობა მცირდება. მაგალითად, თუ სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა 1000 ლარია, დარღვევის შემთხვევაში, სესხზე ყოველდღე მაქსიმუმ 0.41 პროცენტი ემატებოდა – 4.1 ლარი. ახალი წესით, ეს ოდენობა 0.27 პროცენტამდე – 2.7 ლარამდე მცირდება, რასაც შეიძლება, ერთჯერადი 20 ლარი დაემატოს. მაგალითად, ერთთვიანი ვადის გადაცილებაზე სესხის ხარჯი ძველი წესით მაქსიმუმ 123 ლარი იყო, ახალი წესით კი, მაქსიმუმ 101 ლარი იქნება.

უქმდება ტერმინი „შავი სია“, მომხმარებელთა საკრედიტო ისტორიის წარმოების წესი იცვლება. ვადის გადაცილების შემთხვევაში, მათ აღარ მიენიჭებათ ნეგატიური საკრედიტო სტატუსი. საფინანსო ორგანიზაციები მხოლოდ იმას შეამოწმებენ, როგორ იხდიდა მსესხებელი დავალიანებას და შეაფასებენ, დასაშვებია თუ არა მასზე ახალი სესხის გაცემა. ამასთან, საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროების მუშაობა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ ექცევა.

ფიზიკურ პირს შეუძლია სესხის აღება ახალი ბინის შესაძენად და გირაოში ჩადებული ბინის რეალიზაციით მოახდინოს სესხის დაფარვა. იმ შემთხვევაში, თუკი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრულად არ დაფარავს ახალი ბინის ხარჯს, მაშინ მსესხებელმა უნდა დააკმაყოფილოს სესხის მომსახურების დადგენილი კოეფიციენტი დარჩენილ ნაწილზე. ამასთან, რეგულაციებით იზღუდება სხვა მიზნობრიობით ლომბარდული სესხის საცხოვრებელი ბინის იპოთეკის გაცემა, რადგან თუკი პიროვნებას არ აქვს შემოსავალი, შესაბამისად იგი ვერ შეძლებს სესხის მომსახურებას და ერთადერთ საცხოვრებელს დაკარგავს, რაც საკმაოდ ხშირი შემთხვევაა.

საინტერესოა ასევე თუ როგორ შეეხებათ ეროვნული ბანკის რეგულაციები ლომბარდებს. ერთ-ერთი საკითხი არის დაკავშირებული სალომბარდე ფართთან. ახალი რეგულაციებით, სესხის გამცემი სუბიექტის ფილიალის საოპერაციო ფართი არანაკლებ 20 კვ. მეტრი უნდა იყოს, უფრო მეტიც, მის 15 კვ. მეტრამდე შემცირებას ითხოვს არასაბანკო საფინანსო ორგანიზაცია. ასევე შესაძლებელია, რომ ლომბარდი და სავალუტო ოპერაციები განთავსდეს ერთ სივრცეში. კიდევ ერთი საკითხი ეხება სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის პროცესს.

ლომბარდის სარეგისტრაციო თანხა 10 000 ლარს შეადგენს, გარდა ამისა ნებისმიერმა სუბიექტმა, გამსესხებელმა, საბუთები უნდა წარმოადგინოს ეროვნულ ბანკში, რაც თავის მხრივ დიდ ინფორმაციას მოიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ლომბარდებს სესხის ამოღებაც კი აეკრძალებათ.

ახალი რეგულაციებით, ლომბარდებს ვალდებულება ექნებათ, რომ საგადასახადოსთან ერთად, ასევე გარკვეული სახის ინფორმაცია წარადგინონ ეროვნულ ბანკში. ლომბარდებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა „კრედიტ ინფოსთან“, ამასთან უცნობია, თუ რა ფორმით უნდა ითანამშრომლონ „კრედიტ ინფოსთან“ ლომბარდებმა.

იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს სებ-ის ახალი დებულებით დაწესებული მოთხოვნები, იგი იძულებული იქნება, რომ გაყიდოს პორტფელი. როგორც წესი, ასეთ დროს, კომპანიები საბანკო პორტფელს მიზერულ ფასად ყიდიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში ბანკები საგრძნობლად გააქტიურდნენ საცალო სალომბარდე დაკრედიტების მიმართულებით და დემპინგურ ფასადაც კი ოპერირებენ ამ ბაზარზე. ლომბარდის მფლობელები აცხადებენ, რომ სებ-ის ახალი რეგულაციებით მათ პორტფელს კომერციული ბანკები იაფად ჩაიგდებენ ხელში, ან უბრალოდ დაიხურებიან, ხოლო ლომბარდებში დასაქმებული ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩება. ამჟამად საქართველოში 600 - მდე ლომბარდი ოპერირებს და თითოეულ მათგანში, სულ მცირე, 4 ადამიანია დასაქმებული.

საინტერესო იქნება თუ როგორ შეეხება ახალი რეგულაციები იმ აამიანებს, ვისაც სესხის აღება სურთ ბინის საყიდლად. ამ კუთხით კვლევა ჩაატარა „აიფიემ ინტელიჯენს კაუკასუსმა“. კომპანიამ თბილისის მასშტაბით 400 რესპოდენტი გამოიკითხა. კვლევის მონაწილეები იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ბოლო 2 წლის განმავლობაში აქვთ ბინა შეძენილი და უახლოეს 1 წელში აპირებენ ბინის შეძენას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საბანკო რეგულაციების ამოქმედებით, გამოკითხულთა დაახლოებით 34%-ს არანაირი პრობლემა არ შექმნია სესხის აღებისას. 38%-ის აზრით, მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ ეროვნული ბანკის მიერ ახალი რეგულაციების შემოღებით.

განვიხილოთ ის მეთოდები, რომლებსაც კომპანიები მიმართავენ ეროვნული ბანკის რეგულაციების თავიდან ასარიდებლად. საფინანსო ინსტიტუტებმა ისეთი მომსახურების

შეთავაზება დაიწყო მოქალაქეებისათვის, რომელიც მათ სესხის არების პროცესს გაუმარტივებს. რაც შეეხება სავაჭრო ორგანიზაციებს, მათ შიდა განვადებები დაიწყო. როგორც ვიცით, შიდა განვადების დროს სესხის დამტკიცების საკომისიო და პროცენტი დამოკიდებულია პროდუქტის ღირებულებასა და მსესხებლის მიერ არჩეული განვადების თვეების რაოდენობაზე. ყველაზე ხშირად შიდა განვადებებს სამშენებლო სექტორში მიმართავენ, თუმცა ახალი რეგულაციების დაწესების შემდეგ, მას ტექნიკის მაღაზიებმაც მიმართეს და ამ გზით ცდილობენ გაყიდვების გაზრდას. ერთ-ერთი მაღაზია მათ შორის არის ელიტ ელექტრონიკსი. როგორც ვიცით, ეროვნული ბანკის რეგულაციები შიდა განვადებებსაც არეგულირებს და ფირმებიც ცდილობენ, რომ ეს პროცესი კანონთან შესაბამისობაში იყოს. რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათ ყველა სახის მომსახურებაზე დააწესეს გადასახადი, რათა ამ გზით დაიცვან თავი რეგულაციებისგან. საფინანსო ინსტიტუტებმა დამატებითი რესურსის გამოყოფა დაიწყო იმისათვის, რომ წინასწარ შექმნან იმ ადამიანთა მონაცემთა ბაზა, რომელთა შემოსავლის დადასტურებაც შესაძლებელია.

რეფორმის განმახორციელებლები ფიქრობენ, რომ ახალი საბანკო რეგულაციები დადებით შედეგს მოიტანს ქვეყნისათვის და გარკვეულ ეფექტებს უკვე ხედავენ, რაზეც მეტყველებს უცხოელი პარტნიორების შეფასებებიც. Fitch Ratings-ის 2019 წლის 22 თებერვლის განცხადების თანახმად, იანვრიდან ამოქმედებული რეგულაცია გახდა სწორედ ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ასევე ყურადსაღებია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის შეფასებაც, რომლის მიხედვითაც კრედიტის მაღალი ზრდის ფონზე ამოქმედდა რეგულაცია, რომელიც მოსახლეობის ჭარბ-ვალთანობის შეზღუდვის მიზნით დაწესდა, ფინანსური სტაბილურობის მდგრადობას შეუწყობს ხელს.⁷ საქართველოს პრემიერ მინისტრი დადებითად აფასებს საბანკო რეგულაციებს და მისი თქმით რეგულაციების დაწესება საპასუხისმგებლო ნაბიჯი იყო.⁸

⁷ <https://marshalpress.ge/archives/231317>.

⁸ <https://news.ge/2019/04/04/sabanko-regulaciebis-dzireul-gadasinjvas-xelisupleba-ar-gegma>

1.3 რეფორმები კონკურენციის სფეროში

ევროკავშირმა 2008 წელს საქართველოში გამოგზავნა კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად მყარი იყო ნიადაგი საქართველოში იმისათვის, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით (DCFTA). გამოიკვლიეს თითქმის ყველა სფერო და წარმოადგინეს რეკომენდაციები. დოკუმენტში რეკომენდაციები ორ კატეგორიად იყო წარმოდგენილი - დამხმარე და ძირითადი პრიორიტეტები. „ძირითადი პრიორიტეტების“ შესრულება სავალდებულო იყო ქართული მხარისათვის, ხოლო „დამხმარე პრიორიტეტებში“ ასახული სფეროების მიმართ გამოთქმული შენიშვნები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. ძირითად პრიორიტეტები იყო შემდეგი სფეროები:

- ✓ სურსათის უვნებლობა;
- ✓ ინტელექტუალური საკუთრება;
- ✓ ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები და კონკურენციის პოლიტიკა.

სწორედ ამ სფეროების მოწესრიგება გახდებოდა გარანტი იმისა, რომ საქართველო დაიწყებდა მოლაპარაკებებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ კი მთავრობამ უკვე სტრატეგიებზე დაიწყო მუშაობა. სხვა სფეროების მსგავსადაც, აქაც შეიქმნა სტრატეგია და მასში ცვლილებები რამოდენიმეჯერ შევიდა. 2010 წელს კი სტრატეგიამ საბოლოო სახე მიიღო. 2008-დან 2011 წლამდე პერიოდი იყო მოლაპარაკებების დაწყების მოსამზადებელი პერიოდი, 2012 წლის იანვრიდან კი უკვე დაიწყო საქართველომ მოლაპარაკება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც 2013 წლის 22 ივლისს წარმატებით დასრულდა.

ეს შეთანხმება საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ხელს უწყობს შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. შეთანხმების ერთ-ერთი თავი შეეხება კონკურენციას, რაც ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას,

ჰქონდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო.

როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავში ვკითხულობთ, მხარეებს, მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტი-კონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტი-კონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ასევე ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.⁹

ეს შეთანხმება საქართველოს საშუალებას აძლევს, რომ მოახდინოს ექსპორტის მოცულობის ზრდა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ქვეყანა მოახერხებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. კონკურენციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი ქართული კანონმდებლობის შექმნა და აღსრულება საშუალებას მისცემს საქართველოს, რომ თავისუფალი, კონკურენტული და ევროკავშირის მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი ჩამოაყალიბოს, ეს კი თავის მხრივ შეუწყობს ხელს ქვეყნის შიდა ბაზრის ლიბერალიზაციას, ასევე გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში ცვლილებები 2014 წელს შევიდა და იქნა გადმოტანილი ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ყველა ძირითადი დებულება. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს იმასაც, რომ გარდა მხარეების ვალდებულებისა, ჰქონდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ჩამოაყალიბონ შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოც. ამ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოში 2014 წლის აპრილში შეიქმნა საქართველოს კონკურენციის სააგენტო.

როგორც ვიცით, ბაზარზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ერთმანეთისაგან ასხვავებენ კონკურენციის ორგანოს და

⁹ <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>. (n.d.).

კონკრეტული სექტორის მარეგულირებელ ორგანოს. მნიშვნელოვანია, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომ არსებობს განსხვავება კონკურენციის პოლიტიკას და ბაზრის რეგულირებას შორის; როგორც ვიცით, კონკურენციის ორგანო უმეტესად ამოწმებს კომპანიების სამეწარმეო საქმიანობის კანონიერებას, ხოლო რაც შეეხება სექტორულ მარეგულირებელს, იგი სარგებლობს უფრო ფართო უფლებამოსილებებით. ისეთებით, როგორცაა, მაგალითად, კომპანიის სატარიფო ან საინვესტიციო გადაწყვეტილების კონტროლი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში იქნა შემოღებული ანტიმონოპოლიური რეგულირება – კერძოდ 1992 წელს, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის შესახებ“. იმავე წელს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა დაცვის და მეწარმეთა მხარდაჭერის სამმართველო, რომელიც 1995 წელს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოდ გარდაიქმნა.

1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ხოლო 1998 წელს – საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. აღნიშნულ სამმართველოს ამ კანონების აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა. ამასთანავე, იგი 1996 წელს ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიურ სამსახურად გარდაიქმნა, ხოლო 1997 წელს ამ სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

1999 წელს ჩატარებული კვლევებით საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. 2000 წლიდან კი დაიწყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილებების თანდათანობით შეკვეცა და მისი რეორგანიზება. 2003 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგად „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2005 წელს გაუქმდა. იგი ჩაანაცვლა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დახმარების სეგმენტს არეგულირებდა და არ შეიცავდა კონკურენციის პოლიტიკის

არსებობისათვის აუცილებელ საბაზისო პრინციპებს, განმარტებებს (როგორებიცაა, მაგალითად, შესაბამისი ბაზარი, დომინირებული პოზიცია, მნიშვნელოვანი საბაზრო წილი) და ძირითად პროცედურებს კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად. რეფორმების შედეგად ასევე გაუქმდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

რეფორმის შემდეგ კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება სახელმწიფო დახმარების სეგმენტით შემოიფარგლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მას არ ჰქონდა სათანადო კომპეტენცია კონკურენციის სფეროში. შესაბამისად, ამ პერიოდიდან საქართველოში კონკურენციის მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობა არ მოქმედებდა, რაც იმის რისკს ქმნიდა, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს ბოროტად გამოეყენებინათ დომინირებული მდგომარეობა და თავისუფალი კონკურენციის შემზღვეველი ქმედებებისა და ფარული (კარტელური) გარიგებებისთვის მიემართათ.

ამასთანავე საქართველოში კონკურენციის სექტორული რეგულირება ძირითადად მოქმედებდა იმ სექტორებში, რომლებშიც იყო შექმნილი მარეგულირებელი ორგანოები; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შესაბამისი კანონმდებლობებით რეგულირდებოდა ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და კომუნიკაციების სექტორები. კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელ განმარტებებს, საბაზისო პრინციპებს და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითად პროცედურებს ამ პერიოდში ითვალისწინებდა მხოლოდ კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.

უფრო დეტალურად განვიხილოთ კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წლის მარტში. როგორც წესი, კონკურენციის შესახებ კანონების ძირითადი ელემენტები მოიცავს: ზოგად ნაწილს (მიზანი, განმარტებები, კანონის გავრცელების სფერო), ძირითად დებულებებს და ა.შ. ზოგიერთ კანონში კი ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს ასევე დებულებები სექტორულ მარეგულირებლებთან, მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებით და დებულებები კანონის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

კონკურენციის კანონის მიზანია სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციის განვითარება და დაცვა. კონკურენციის, ასევე პროცესის დაცვა და ამ მიზნით ანტი-კონკურენციული ეფექტის მქონე ნებისმიერი შემთხვევის გამოვლენა და აღკვეთა.

მიუხედავად მსგავსი მიზნებისა, რომლებიც უკავშირდება კონკურენციის მხარდაჭერას და დაცვას, სხვადასხვა ქვეყნის კანონები მიზნების განსხვავებული ფორმულირებით ხასიათდებიან. დამახასიათებელია სხვადასხვა კომბინაციაში ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორცაა: კონკურენციის განვითარება, წახალისება და დაცვა; კაპიტალისა და ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის კონტროლი; ინოვაციების წახალისება; საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და დაცვა; მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ინტერესების დაცვა და სხვ.

UNCTAD-ის მიერ ჩატარებული კვლევის (მონაწილეობა 30-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო) შედეგებით, კანონის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა:

ა) ეფექტიანი კონკურენციის პროცესის (როგორც მიზნის და როგორც საშუალების) უზრუნველყოფა - 32 ქვეყანაში.

ბ) მომხმარებლის კეთილდღეობის უზრუნველყოფა - 30 ქვეყანაში.

გ) ეფექტიანობის ამაღლება - 20 ქვეყანაში.

დ) ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა - 13 ქვეყანაში.¹⁰

როგორც წესი, კონკურენციის შესახებ კანონები ერთმანეთის მსგავსია. ამასთან, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, განმარტებების სიმრავლე იმ ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელია, რომლებშიც კონკურენციული პოლიტიკა ახალი დანერგილია. შედარებით განვითარებული ქვეყნები, როგორც წესი, განმარტებებზე აქცენტს არ აკეთებენ.

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონები რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავენ:

- ✓ სუბიექტური სფერო, ანუ ვისზე ვრცელდება კანონი;
- ✓ საგნობრივი სფერო, ანუ რა სახის საქმიანობა რეგულირდება კანონით;
- ✓ ტერიტორიული სფერო, ანუ რა ტერიტორიაზე მოქმედებს კანონი.

¹⁰ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო. (თ. გ.). *კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციონალური საბჭო საქართველოში*.

ზოგიერთი ქვეყნის კანონი ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, ზოგიერთის მოქმედება ნებისმიერ ანტი-კონკურენციულ ქმედებაზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფება სუბიექტი. დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ რა გავლენა აქვს მას მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე კონკურენციის პროცესებზე. ცალკე შემთხვევაა კანონის ე.წ. ექსტრა-ტერიტორიული გამოყენება (საგნობრივი გამოყენება), რომელიც გულისხმობს იმას, რომ ქმედება სხვა ქვეყანაში ხდება, მაგრამ გავლენას ახდენს იმ სახელმწიფოზე, რომელმაც ეს პრინციპი დააკანონა ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ქმედებებზეც ან ისეთ ქმედებაზე, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის გარეთ მყოფი მხარე.

UNCTAD-ის კანონით კონკურენციის შესახებ, კანონი უნდა გამოიყენებოდეს ყველა დარგის, შეთანხმებებისა და სუბიექტების მიმართ, რომელთაც კავშირი აქვთ საქონლისა და მომსახურების კომერციულ გაცვლასთან. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა მიზნები/მიზეზები გამოიყენება არეალის შესაზღუდად (მათ შორის, განსაკუთრებული ჯგუფების ინტერესების ლობირება).

კანონი ვრცელდება:

ა) ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და მისი თანამდებობის პირის ქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს ან/და შეუძლია გამოიწვიოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და აღკვეთა ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე;

ბ) ქვეყნის საზღვრების გარეთ განხორციელებულ ქმედებაზე, რომელიც გავლენას ახდენს და ზღუდავს კონკურენციას ქვეყნის შიდა ბაზარზე ან/და იწვევს კონკურენციული გარემოს არსებით გაუარესებას.

კანონი არ ვრცელდება:

ა) შრომით ურთიერთობებზე;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლებების გამოყენება ხდება კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთის მიზნით;

გ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ურთიერთობები გავლენას ახდენს ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე ან/და ზღუდავს მას ან შეუძლია გამოიწვიოს მისი არსებითი შეზღუდვა.“¹¹

როგორც ვიცით, კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებაა ისეთი სააგენტოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენციული პოლიტიკის სწორად წარმართვას ქვეყანაში. სსიპ „კონკურენციის სააგენტო“ შეიქმნა კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად. კონკურენციის სააგენტო არის „კონკურენციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანო:

- სააგენტო საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე არის ანგარიშვალდებული;
- საქართველოს მთავრობა ამტკიცებს სააგენტოს დებულებასა და სტრუქტურას;
- კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს და სწორედ ის წარმოადგენს მას სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ასევე წყვეტს სააგენტოს მოქმედების სხვადასხვა საკითხებს;
- სააგენტოს დაფინანსების წყარო არის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები;
- სააგენტო თავისი საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს.

კონკურენციის სააგენტოს ფუნქციებია:

- კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელება და ამ მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების სრულყოფისათვის წინადადებების მომზადება;

¹¹ საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. (2014 წელი).

- კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოსავლენად სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგი და ანალიზი;
- „კონკურენციის შესახებ“ კანონით განსაზღვრული კონცენტრაციის შემთხვევაში კონკურენციული ეფექტის სავალდებულო შეფასება, დასკვნის მომზადება და გაცემა;
- კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და ა.შ.

კონკურენციის კანონის აღსრულების ეფექტიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია უფლებამოსილ ორგანოს გააჩნდეს სათანადო სტატუსი და ცხადად გამოკვეთილი, ფორმალურად განსაზღვრული აღმასრულებელი ძალაუფლება, რომელიც მას საშუალებას მისცემს უზრუნველყოს „კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტი-კონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა“. კონკურენციის კანონმდებლობით კონკურენციის სააგენტოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი, როგორც ეკონომიკურ აგენტებთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებაში. სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის.

თავი 2. რეგულირების მიმდინარე რეფორმების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე

2.1 საპენსიო რეფორმის გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე

ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ საპენსიო რეფორმის განხორციელებამ შეიძლება კაპიტალის ბაზარზე ნეგატიური გავლენა იქონიოს.¹² როგორც ვიცით, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, თავის მხრივ, გულისხმობს ამ სექტორის ნაწილობრივ პრივატიზაციას, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ ფონდში შესულ ფინანსებზე პასუხისმგებლობას გარკვეულ წილად კერძო სექტორი იღებს. ეს გულისხმობს მაღალი ნდობის გამოცხადებას კერძო აქტორების მიმართ.

ამ სისტემაზე, როგორც წესი, გადადიან იმ დროს, როდესაც არსებობს დემოგრაფიული გამოწვევები, ხანშიშესული მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია და არსებობს ფისკალური შეზღუდვები. 1980-იან წლებში მსოფლიო ბანკმა სწორედ ამ პრობლემების საპასუხოდ აქტიურად დაიწყო ჩართვა განვითარებად ქვეყნებში კერძო დაგროვებითი სისტემების შემუშავების პროცესებში.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული საპენსიო რეფორმა მრავალსვეტოვანი არ არის და იგი მხოლოდ სახელმწიფოსა (საბაზისო პენსია) და კერძო სვეტების კომბინაციას მოიცავს მხოლოდ. აქ არ არის გათვალისწინებული სოლიდარობის პრინციპი, რომლის დროსაც შენატანებს დასაქმებულები ახორციელებენ, ამასთან არსებულ პენსიონრებსაც უხდიან გარკვეულ თანხას და მხოლოდ საკუთარ მომავალზე არ ზრუნავენ.

თუკი დავაკვირდებით, საპენსიო რეფორმას ეკონომიკის სტიმულირების კუთხით შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ქონდეს. კერძო დაგროვებითმა სისტემამ შესაძლოა ეკონომიკის ზრდას შეუწყოს ხელი. ამ სისტემის მიხედვით იზრდება დანაზოგები, რაც თავის თავში გულისხმობს ფინანსური რესურსის გაჩენას გრძელვადიან პერიოდში, ამას კი მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

საპენსიო ფონდებში დაგროვებული თანხები კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უნდა განთავსდეს, ეს კი, თავის მხრივ, კორპორაციული ობლიგაციების, ფასიანი ქაღალდების და

¹² <https://1tv.ge/analytics/sapensio-reforma-saqartveloshi/>.

სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტების შექმნას შეუწყობს ხელს. ამას გარდა მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა ფინანსურ აქტივებზე, ეს კი აქტივების მართვის ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს ყველაფერი კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანაში დაინერგება კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები.

დამოუკიდებელი ექსპერტის ტარიელ გვალის განცხადებით: „ბოლო წლების ტენდენცია ნათლად გვაჩვენებს, რომ სამუშაო ძალისა და საპენსიო სისტემის მექანიზმებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. მაგალითისათვის, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიასა და შვეიცარიაში, საპენსიო სისტემა კაპიტალის ბაზრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კი (სადაც საპენსიო სისტემა უფრო მეტად სოციალისტური ხასიათისაა), მაგალითად გერმანიასა და ავსტრიაში, საპენსიო კაპიტალის ნაკლებობა განაპირობებს კაპიტალის ბაზრის ნაკლებობას. მაშინ როდესაც აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიასა და შვეიცარიაში საპენსიო აქტივები აჭარბებს ქვეყნის მშპ-ს, ავსტრიასა და გერმანიაში საპენსიო აქტივები ქვეყნების მშპ-ს მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს.

კომპანიების კორპორაციული მმართველობა შესაბამის სტანდარტებს მოითხოვს, ეს კი, თავის მხრივ, არის პრაქტიკისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს კომპანიის მმართველობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს. კორპორაციული მმართველობის სტანდარტები განსაზღვრავს უფლებებსა და პასუხისმგებლობას მათთვის, ვინც ჩართულია კომპანიის ფუნქციონირებაში, მაგალითად დირექტორთა საბჭო, ადმინისტრაციული გუნდი და აქციონერები კომპანიას, რომელსაც აქვს ჯანსაღი კორპორაციული მმართველობა, ამისაგან სარგებელს იღებს ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე, მათ შორის მაღალი რეპუტაცია ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ამასთანავე, კარგ კორპორაციულ მმართველობას მივყავართ მენეჯმენტის უფრო ეფექტიან და ხარისხიან სისტემამდე. იმ შემთხვევაში თუ კარგი კორპორაციული პრაქტიკა არის ეკონომიკის სტანდარტი და არა რომელიმე ცალკეული კომპანიებისათვის დამახასიათებელი გამონაკლისი, ეს საერთო ჯამში იწვევს კაპიტალის ბაზრების განვითარებას, კომპანიებისთვის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებას და შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკის სტიმულირებას.“¹³

¹³ გვალა, ტ. (2017 წლის 25 მაისი). *საპენსიო რეფორმა და კორპორაციული მმართველობა*.

ასევე შეიძლება სხვა ექსპერტების შეფასების მოსმენაც. მაგალითად ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები დადებითად აფასებს საპენსიო რეფორმას, თუმცა მათი განცხადებით, რეფორმის განხორციელებისთვის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია და დაშორებულია გეგმისგან.

სანამ უშუალოდ რეფორმის გავლენას განვიხილავთ კომპანიებზე და მათი დაგეგმვის პოლიტიკაზე, საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ ამ კუთხით ჩატარებულ კვლევას. საპენსიო სისტემის RIA ანალიზი ჩატარა ISET-მა G4G-ს მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი საჯაროდ არ დევს, შეიძლება მისი გამოთხოვა G4G-ს ოფისიდან და მისი ინგლისური ვარიანტის მიღება. ამ ანალიზის ჩატარება დაიწყო 2016 წლის 30 სექტემბერს, კვლევის საბოლოო ვარიანტი კი 2017 წლის 18 მაისს გამოქვეყნდა.

ამ დოკუმენტში შევხვდებით G4G-ის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის რამდენიმე ვარიანტს, რომელიც მათ შეიმუშავეს სტეიქჰოლდერებთან კონსულტაციის შედეგად. სულ იყო წარმოდგენილი 3 ვარიანტი. მოკლედ რომ ვთქვათ, პირველი ვარიანტი გულისხმობს საბაზისო პენსიის ზრდას და ამ მხრივ პენსიონერთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მეორე ვარიანტი გულისხმობს ზუსტად იმ სქემას, რომელსაც საქართველოს მთავრობა გვთავაზობს. მესამე ვარიანტის განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში საპენსიო სისტემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება. ამ ვარიანტების დეტალურ განხილვამდე საინტერესო იქნება განვიხილოთ სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობა მომავალში.

(ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ეგზოგენურ ცვლადებს, ანუ მათი ცვლილება არ არის გამოწვეული შიდა მიზეზებით).

ცვლადები	საწყისი ცვლადები 2018 წელს	საბოლოო ცვლადები 2064 წელს	წყარო
რეალური მშპ-ს ზრდა	5.30%	2%	ეს რიცხვები აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

			გამოქვეყნებული კვლევიდან. ¹⁴
ინფლაცია	3.00%	3.00%	დამყარებულია ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელზე. ¹⁵
ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	13.21%	10%	15.5% - 2.25% = 13.21%. ეს რიცხვები დამყარებულია საშუალო სამომხმარებლო საპროცენტო განაკვეთზე 2016 წლამდე
ნომინალური შემოსავალი კერძო (ქართული)შემნახველი პორტფელებიდან	7.75%	8.33%	მომავლის პროგნოზი გაკეთებულია წინა წლების მონაცემებზე დაყრნობით. ¹⁶

¹⁴ International Monetary Fund. (2017). *World Economic Outlook* .

¹⁵ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=327>. (თ. გ.).

¹⁶ Georgia-focused investment company. (n.d.). *Investor Presentation: 1Q18 results*.

ნომინალური შემოსავალი კერძო (უცხოური) შემნახველი პორტფელებიდან	9.26%	9.6%	ეს რიცხვები გამოყვანილია როგორც საშუალო 1900 წლიდან და დიდი ალბათობით ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ¹⁷
ინფლაცია აშშ-ში	2.00%	2.00%	ეს რიცხვი აღებულია არსებული მონაცემებიდან ¹⁸
დისკონტირების განაკვეთი	8.74%	5.34%	პროგნოზი გაკეთებული ეორვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით. ¹⁹
რეალური შემოსავალი კერძო (უცხოური) შემნახველი პორტფელებიდან	7.12%	7.12%	ამ შემთხვევაში ნომინალური შემოსავალი კორექტირებულია ინფლაციით

¹⁷ <https://www.zeninvestor.org/expected-equity-market-returns-for-the-next-10-years/>. (თ. გ.).

¹⁸ <http://www.usinflationcalculator.com/inflation/current-inflation-rates/>. (თ. გ.).

¹⁹ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>. (თ. გ.).

რეალური შემოსავალი კერძო (ქართული)შემნახველი პორტფელებიდან	4.6%	5.2%	ამ შემთხვევაში ნომინალური შემოსავალი კორექტირებულია ინფლაციით
ნომინალური საპროცენტო განაკვეთი სახელმწიფოს მიერ გაშვებულ 10-წლიან ფასიან ქაღალდებზე	12.00%	8.5%	პროგნოზი დამყარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ გამოშვებული 10 წლიანი ობლიგაციების საშუალო საპროცენტო განაკვეთზე. ²⁰
რეალური სარგებელი უძრავი ქონებიდან	10.00%	8%	დამყარებულია აშშ-ის მონაცემებზე
საპროცენტო განაკვეთი ვადიან დეპოზიტებზე	12.00%	8.5%	დამყარებულია ეროვნული ბანკის მონაცემებზე

²⁰ <https://www.investing.com/etfs/listed-index-fund-international-bon-historical-data>. (თ. გ.).

საშუალო სარგებელი აქციებზე (ე.წ. MSCI ინდექსი)	9.7%	9.7%	მონაცემები დამყარებულია MSCI მსოფლიო ინდექსზე
საშუალო სარგებელი სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე	7.5%	7.5%	დამყარებულია სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ობლიგაციების ინდექსზე 1984 წლიდან. ²¹
უცხოური აქტივების მოსალოდნელი შეფასება	0.98%	0.98%	უცხოურ აქტივებზე მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდა ადგილობრივსა და აშშ-ს ინფლაციას შორის
ნომინალური სარგებელი „უცხოური პორტფელიდან“ ლარში	10.33%	10.33%	ეს მონაცემები მოყვანილია ზემოთ ნახსენები წყაროებიდან

ცხრილი 3. წყარო: https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00SVXW.pdf

²¹ https://www.yieldbook.com/x/ixFactSheet/factsheet_monthly_wgbi.pdf. (თ. გ.).

ახლა კი განვიხილოთ უკვე სამი ვარიანტი. პირველი ვარიანტისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

✓ იმისათვის, რომ ამ სისტემამ უზრუნველყოს შემოსავლების მუდმივი კოეფიციენტი, საბაზისო პენსია გამუდმებით უნდა იზრდებოდეს ხელფასის საშუალო ზრდასთან ერთად. პენსიის ზრდადი ხარჯი უნდა დაფაროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

✓ ფიზიკური პირები აგროვებენ თანხას პირადად (ოღონდ არ ექრებათ 2% ხელფასიდან და არ შეაქვთ საპენსიო ფონდში).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სისტემის დროს საბაზისო პენსიის ზრდის მიუხედავად, შემოსავლის საშუალო ნორმა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ საშუალო ან მაღალი პენსია, დარჩება 70%-ზე ნაკლები. მეორეს მხრივ, პენსიის ზრდა მნიშვნელოვნად დაეხმარებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც საკმაოდ მცირე შემოსავალი აქვთ. ამის გამო საქართველოს მთავრობის მიმართ გაჩნდება მოთხოვნა შედარებით ღარიბი მოსახლეობის მხრიდან, რომ პენსია გაიზარდოს. ასევე სხვადასხვა მონაცემებით მოსალოდნელია პენსიონერთა რიცხვის ზრდა (რისი თქმის საშუალებასაც წინა წლის მონაცემები გვაძლევს).²² ზემოთ ნახსენები ორი ეფექტი, თავის მხრივ, გაზრდის ზეწოლას ბიუჯეტზე და გაზრდის ასევე საპენსიო ხარჯების წილს მშპ-სთან მიმართებაში. ამ სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს საკმარის პენსიას საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის, რაც, თავის მხრივ, ასეთი ადამიანების უკმაყოფილებას გამოიწვევს, ხელისუფლებას კი დაგეგმილზე მეტად მოუწევს პენსიის ზრდა.

მეორე ვარიანტი გულისხმობს იმ სქემას, რომელსაც საქართველოს მთავრობა გვთავაზობს და რომელიც წინა თავებში განვიხილე. ამ სისტემის ძირითადი მახასიათებლები იქნება ის, რომ პენსია გაეზრდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან (ანუ საშუალო და მაღალი ხელფასის მქონე ადამიანებისთვის). უმუშევარი ადამიანებისთვის კი ამ სისტემას დიდი სარგებელი არ ექნება. შედეგად მივიღებთ იმას, რომ მთავრობის მიმართ არ ექნება მოთხოვნა მოსახლეობის საშუალო ფენას, თუმცა ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება იმ 2%-ის ოდენობით, რომელსაც ხელისუფლება ჩადებს საპენსიო ფონდში. ამ სისტემას გარკვეული

²² http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo. (თ. გ.).

რისკები ახლავს თან. გაიზრდება საბიუჯეტო ხარჯები, რაც უარყოფითად აისახება საბიუჯეტო ბალანსზე. გაიზრდება წნეხი იმ ადამიანების მიმართ, ვინც ვერ მოხვდება აღნიშნულ სისტემაში. კერძო პირების და კერძო კომპანიების დიდი ნაწილი აპროტესტებს იმას, რომ ამ სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა. რისკის ქვეშ დგას საპენსიო ფონდის აქტივები, რადგან გარკვეული კრიზისის საფონდო ბირჟაზე პენსიის შემცირებას გამოიწვევს. ასევე ამ სისტემის ეფექტიანობას ამცირებს ისიც, რომ ქვეყანაში კარგად არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მესამე ვარიანტის ძირითადი განსხვავება ისაა მეორე ვარიანტთან შედარებით, რომ მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება. ამასთან ამ შემთხვევაში შემცირებული იქნება ხარჯები წინა მოდელთან შედარებით. ასევე შემცირდება პენსიის გაზრდის მოთხოვნა საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანების მხრიდან. ამასთან ამ ვარიანტს გარკვეული რისკები ახასიათებს. შეიძლება ადამიანების ძალიან დიდმა ნაწილმა თქვას უარი ამ სისტემაში მონაწილეობის მიღებაზე. ასევე შესაძლოა გაჩნდეს არაფორმალური დასაქმება, რაც ფორმალური ეკონომიკის მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს.²³

თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ დახაზულ ცხრილს და გავითვალისწინებთ RIA ანალიზის შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ არც პენსიის მეორე და არც მესამე ვარიანტი არ გამოიწვევს პენსიის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ზრდას პირველ ვარიანტთან შედარებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რეფორმა გამოიწვევს არა რესურსების ზრდას, არამედ უბრალოდ მის გადანაწილებას მოსახლეობაში. ამას გარდა ხარჯები იზრდება იმის პარალელურად, რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ სისტემაში. დღეს არსებული რეფორმის შემთხვევაში კი შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ NPV საერთოდ შემცირდება მომავალში.

მოკლევადიან პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ ფირმები მოახდენენ თანხის შეტანას საპენსიო ფონდებში, ამის გამო შემცირდება მათი მოგება და შემცირდება მათი ინვესტიციების მოცულობაც. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ მიერ 2%-ის გამუდმებით გადახდა გამოიწვევს საშუალო ხელფასის

²³ G4G. (2017). *PENSION REFORM ANALYSIS*.

შემცირებას. ამ ეფექტს კი, დადებითი გავლენა ექნება კომპანიის მოგებაზე. ამის გამო ფირმები გაზრდიან ინვესტიციებს საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში.

როგორც ვიცით, საპენსიო რეფორმის შედეგად გაიზრდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პენსია მომავალში, თუმცა თუ როგორი გავლენა ექნება ამას ბიზნესსა და ეკონომიკაზე, რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ასეთი კრიტერიუმებია, თუ როგორ გაიზრდება შინამეურნეობების დანაზოგები რეფორმის შედეგად და როგორ გაზრდიან ფინანსირების დონეს კომპანიები და მთავრობა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ამ რეფორმას ბიზნესზე საბოლოო ჯამში დადებითი გავლენა ექნება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კერძო კომპანიების დიდი ნაწილი თავდაპირველად უარყოფითად აფასებდა ამ რეფორმას იმის გამო, რომ მას აქვს სავალდებულო ხასიათი. მათი აზრით, ეს ცუდ ზეგავლენას მოახდენს ბიზნესზე, რადგან დამატებითი თანხების გადახდა მათი მხრიდან მათ ფინანსურ რესურსებს საგრძნობლად შეამცირებს. ჩემი აზრით, რეფორმის სავალდებულო ხასიათმა შესაძლოა გამოიწვიოს არაფორმალური ეკონომიკის ზრდა, ანუ დამქირავებელი და დასაქმებული წერილობითი დოკუმენტის გარეშე დაიწყებენ შრომით ურთიერთობას და როგორც ვიცით, არაფორმალური ეკონომიკის ზრდა დიდ ზიანს მიაყენებს მთლიანად ეკონომიკას, რადგან ბევრი სტატისტიკური ინფორმაციის დამახინჯება მოხდება, ასევე მთავრობას შეუმცირდება გადასახადებიდან აღებული სახსრები და ა.შ.

ამასთანავე, კერძო კომპანიებმა შეიძლება თავიანთი ოპერაციების ნაწილი აუთსორსინგით განახორციელონ და იმის მაგივრად, რომ დაიქირავონ მუდმივად მომუშავე პირები, თავიანთი ოპერაციების ნაწილს სხვა ფირმებს გადასცემენ. ეს ფაქტი, თავის მხრივ, გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას. ასევე გაიზრდება ტექნოლოგიების რიცხვი და კომპანიები ნაკლებად მოისურვებენ კერძო მომუშავეების დასაქმებას, რადგან საპენსიო რეფორმის შედეგად იზრდება სამუშაო ძალის ფასი. ამასთან, დიდი ხნის განმავლობაში არაა მოსალოდნელი, რომ გაიზარდოს მომუშავეთა ხელფასები, რადგან ისედაც ძვირი უჯდება კომპანიას მათი შენახვა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ეს ყველაფერი გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას ჩვენს ქვეყანაში, რაც ნამდვილად არასასურველი ეფექტია.

ასევე საინტერესო იქნება იმის განხილვა, თუ რა გავლენას მოახდენს საპენსიო რეფორმა საპროცენტო განაკვეთზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთლიანად ბიზნეს სექტორისთვის. აქ შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე საკითხი. პირველ რიგში, მოხდება

ფულადი ნაკადების გადინება ქვეყნის გარეთ, ანუ საპენსიო ფონდში შესული თანხის ნაწილი დაბანდდება უცხოურ აქტივებში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნიდან თანხის გატანას. მეორეს მხრივ, თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი თანხების ნაწილი დაბრუნდება ბანკში და იქ განთავსდება დეპოზიტების სახით. ეს ეფექტები შეამცირებს ზეწოლას ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთზე. ამასთანავე ფირმები ნაკლებად იქნებიან დამოკიდებულები კერძო ბანკებზე და კაპიტალის ბაზრის ზრდაც საკმაოდ შეუწყობს ამ პროცესს ხელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში შემცირდება კერძო ბანკების საპროცენტო განაკვეთი.

ბიზნესზე გავლენა შეიძლება მეორე კუთხითაც განვიხილოთ. რეფორმის შედეგად კერძო პირებს შეუმცირდებათ თანხა, რასაც ისინი სხვადასხვა ნივთის შესაძენად იყენებდნენ. ამის შედეგად კერძო შენაძენები შემცირდება მოკლევადიან პერსპექტივაში, ეს კი, თავის მხრივ, შეამცირებს ბიზნეს-აქტივობას ქვეყანაში.

ახლა განვიხილოთ თუ რა გავლენა ექნება რეფორმას მთლიან შიდა პროდუქტზე, რაც ნამდვილად მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ანალიზისათვის. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, რეფორმა მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს მშპ-ზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები ეფექტის გამო (მოხმარების შემცირება მოკლევადიან პერსპექტივაში) უნდა ველოდოთ მშპ-ს შემცირებას მოკლევადიან პერსპექტივაში. მეორეს მხრივ, როგორც ვიცით, საპენსიო ფონდში მიღებული სახსრები განთავსდება აქციებსა და ობლიგაციებში, ეს კი, თავის მხრივ, შეუწყობს ხელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმის გატარების შემდეგ ასევე მოხდება კაპიტალის ბაზრის ზრდა, ეს დადებით ეფექტს მოახდენს მშპ-ზე და მის ზრდას გამოიწვევს და ეს პროცესი, თავის მხრივ, საპენსიო თანხის წმინდა მიმდინარე ღირებულებას გაზრდის.

ყურადღება მისაქცევია ასევე სოციალური ეფექტები, რაც პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს ბიზნესზე. განვიხილოთ ის სოციალური რისკები, რაც რეფორმას მოაქვს თან. პირველი რისკი დაკავშირებულია მცირე კომპანიებთან, რომლებიც, დიდი ალბათობით, მოინდომებენ ხარჯების შემცირებას და ამიტომ შეეცდებიან დაიქირაონ ადამიანები არაფორმალურად. ამ ფაქტს ადგილი უმეტესად ექნება მცირე ზომის კომპანიებში ექნება. მეორე რისკი დაკავშირებულია იმასთან, რომ მცირდება იმ ადამიანების სარგებელი ვინც იქნება საპენსიო სისტემის გარეთ იმათთან შედარებით, ვინც ამ სისტემაში იქნება. ამან შეგვიძლია მიგვიყვანოს


იქამდე, რომ გაიზრდება სოციალური უთანასწორობა ქვეყანაში, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ბიზნესზე.

როგორც ვიცით, რეფორმის ერთ-ერთი გამტარებელი სახელმწიფოა. იგი იხდის ფიქსირებულ თანხას საპენსიო ფონდში და მისი სახსრები საგრძნობლად მცირდება, ეს კი ზრდის მთავრობის ხარჯებს და მიგვიყვანს ბიუჯეტის დეფიციტამდე. ეს კი, თავის მხრივ, შეამცირებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული აქციების და ობლიგაციების ლიკვიდურობას და ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ტვირთად დააწვება არამარტო ჩვენი ქვეყნის მთავრობას, არამედ კერძო ბიზნესსაც.

ასევე საინტერესო იქნება თუკი გადავავლებთ თვალს კერძო დანაზოგებს. ამ კუთხით მოსალოდნელია დანაზოგების შემცირება მოკლევადიან პერსპექტივაში, რადგან ადამიანებს უფრო ნაკლები ფულადი სახსრები ექნებათ, თუმცა ეს ეფექტი შეიძლება კომპენსირდეს იმით, რომ საპენსიო ფონდებში შესული თანხების ინვესტირება მოხდება სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში.


იმისათვის, რომ შემესწავლა ადამიანთა დამოკიდებულება რეგულირების მიმდინარე რეფორმებისადმი, ჩავატარე გამოკითხვა. გამოკითხული იქნა 100 ადამიანი, რომლებიც დასაქმებულნი არიან შემდეგ 3 ბანკში: „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, „თიბისი ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია როგორც პირისპირ ინტერვიუ, ასევე სატელეფონო ინტერვიუ. რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი არის ქ. თბილისად, ასევე მცირე ნაწილია ქ. ხაშურიდან და ქ. გორიდან. კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის მაის-ივნისის პერიოდში.

გამოკითხულთა მხოლოდ 20% აფასებს დადებითად საპენსიო რეფორმას, ხოლო 80% უარყოფითად. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ საპენსიო სისტემაში ჩართვა 40 წლამდე ადამიანებისათვის არ არის ნებაყოფლობითი და ამის გამო ადამიანები უარყოფითად აფასებენ აღნიშნულ რეფორმას.




დიაგრამა 1

რესპოდენტთა 59%-ის ფინანსურ მდგომარეობაზე ახალ საპენსიო რეფორმას გავლენა არ მოუხდენია. 36% თვლის, რომ უმნიშვნელო გავლენა იქონია, მნიშვნელოვან გავლენაზე კი საუბრობს გამოკითხულთა 5%. ჩემი აზრით, ეს შედეგი მივიღეთ იმის გამო, რომ ძალიან მცირე თანხის გადახდა უწევთ დასაქმებულებს საპენსიო ფონდისათვის და ეს თანხა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.




დიაგრამა 2

გამოკითხულთა 80%-ს უჭირს შეაფასოს საპენსიო სააგენტოს საქმიანობა. დაახლოებით 14% უარყოფითად აფასებთ სააგენტოს საქმიანობას და მხოლოდ 6% აფასებს დადებითად. ჩემი აზრით, ეს შედეგი მივიღეთ იმის გამო, რომ ადამიანები უბრალოდ არ ინტერესდებიან საპენსიო სააგენტოს საქმიანობით და არ აქვთ ინფორმაცია მის შესახებ.



დიაგრამა 3


გამოკითხულთა 12% თვლის, რომ ახალი საპენსიო რეფორმა დადებითი ეფექტის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, 13% თვლის რომ აღნიშნულ რეფორმას უარყოფითი შედეგი მოყვება, ხოლო 75%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამის მიზეზი ჩემი აზრით, ისევ ინფორმაციის ნაკლებობაა, რის გამოც რესპოდენტებს უჭირთ შეაფასონ საპენსიო რეფორმის შედეგები მომავალში.



დიაგრამა 4

კითხვაზე: თქვენი ნება რომ იყოს დატოვებული თუ არა საპენსიო სისტემას, რესპოდენტთა 80%-ს უჭირს პასუხის გაცემა. 12% დატოვებდა საპენსიო სისტემას, ხოლო, 13%-ს აზრით,

უკეთესი იქნება თუ აღარ შევინარჩუნებთ საპენსიო სისტემას. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც უჭირს რესპოდენტთა უმეტესობას პასუხის გაცემა.




დიაგრამა 5


რესპოდენტები საკმაოდ უარყოფითად აფასებენ საპენსიო რეფორმას. ამის ერთ-ერთი შედეგი შესაძლოა იყოს ის, რომ მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია, თუ რა დადებით შედეგს მოიტანს ეს რეფორმა და მათი უარყოფითი დამოკიდებულება ამით არის გამოწვეული. სწორედ ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმეტესობას უბრალოდ არ იცნობს საპენსიო სააგენტოს საქმიანობას და უჭირს იმის განსაზღვრა თუ რა შედეგს მოიტანს საპენსიო რეფორმა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ჩემი აზრით, კარგია იქნება, თუკი უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება მოხდება დასაქმებულებისთვის და ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდება.

2.2 ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე


გასაკვირი არაა, რომ საბანკო რეგულაციები ყველაზე მეტად საბანკო სფეროს შეეხება. სავარუდო იყო, რომ აღნიშნული ინიციატივა საკრედიტო აქტივობაზე უარყოფითად იმოქმედებდა და ასეც მოხდა. კომერციული ბანკების მიერ კრედიტით გაცემული თანხების მოცულობა 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით 231.1 მლნ. ლარით შემცირდა და გაუტოლდა 25.93 მლრდ. ლარს. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 146.2 მლნ. ლარით შემცირდა და 11.47 მლრდ. ლარი შეადგინა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობას, აქ ზრდა შეინიშნება. წინა თვესთან შედარებით, იანვარში 20.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი სესხი გაიცა. გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტი, რომ ახალმა რეგულაციებმა უფრო მეტი გავლენა მოახდინა მოკლევადიან სესხებზე, ვიდრე გრძელვადიან სესხებზე. მოკლევადიანი სესხების მოცულობა იანვარში უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე გრძელვადიანი სესხების.




სურათი 3. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019 წლის იანვრის თვის მიმოხილვა. გვ. 12



სურათი 4. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019 წლის იანვრის თვის მიმოხილვა. გვ. 12



სურათი 5. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019 წლის იანვრის თვის მიმოხილვა. გვ. 13



სურათი 6. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. 2019 წლის იანვრის თვის მიმოხილვა. გვ. 13

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იანვარში გაიზარდა საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 12.5 პროცენტი შეადგინა.

ახლა კი შევხედოთ თუ რა სურათი გვაქვს მარტში. წინა თვესთან შედარებით, სესხების მოცულობა 313.5 მლნ. ლარით არის გაზრდილი და 26.29 მლრდ. ლარს უტოლდება. გაზრდილია როგორც ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობაც. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 244.1 მლნ. ლარით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა კი 42.6 მლნ. აშშ დოლარით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს, იგი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

როგორც რეფორმის განმახორციელებლები აცხადებენ, რეგულაციები მოკლევადიან პერიოდში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა, ამასთან გრძელვადიან პერიოდში სიტუაცია გამოსწორდება და ეს ცვლილები ზუსტად გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. მათი თქმით, რეფორმა ეკონომიკის გაჯანსაღებას გამოიწვევს მომავალში.

შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციები ყველაზე მეტად ქვეყნის საშუალო ფენას შეეხო.

ექსპერტების ნაწილი საბანკო რეგულაციებს საკმაოდ უარყოფითად აფასებს²⁴. მათი თქმით, შედეგი იქნება უბრალოდ ის, რომ ბევრი ბანკი უმუშევარი დარჩება და საბანკო სექტორი საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის. მათთვის გაუგებარია თუ რატომ აწესებს ეროვნული ბანკი რეგულაციებს, რომელიც, დიდი ალბათობით, საკმაოდ უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ყველაზე მეტად აღნიშნული რეგულაციები დიდ ბიზნესს დააზიანებს და მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირებას გამოიწვევს. მათი თქმით, საკმაოდ დიდია იმის რისკი, რომ გაიზარდოს ფულის არაოფიციალურად გასესხება ე.წ. მევახშეების მიერ. მათთვის სრულიად გაუგებარია, თუ რა შედეგს მიიღებენ რეფორმის განმახორციელებლები, რადგან, მათი აზრით, შედეგი მხოლოდ ეკონომის ზრდის შემცირება იქნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტები სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებას ელოდებიან. ისინი პარალელს 2008 წლის გლობალურ კრიზისთან ავლებენ, რომლის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი ბანკების მიერ დაკრედიტების მკვეთრი შემცირება იყო, რამაც, თავის

²⁴ <https://sputnik-georgia.com/reviews/20181001/242307305.html>. (n.d.).


მხრივ, გაყიდვების შემცირება და მაღაზიების დახურვა გამოიწვია. მაღაზიების დახურვამ კი პერსონალის შემცირება და უმუშევრობის ზრდა გამოიწვია და შედეგად ცუდი სურათი მივიღეთ. ექსპერტების გარდა საპარლამენტო ოპოზიციაც უარყოფითად უყურებს ახალ რეგულაციებს და მათ ცვლილებებს ითხოვენ, ამასთან ჯერ-ჯერობით ცვლილებები არ იგეგმება და აღნიშნული რეფორმა ძალაში რჩება.

მეორე მხრივ, ეკონომისტთა ნაწილი რეგულაციებს დადებითად აფასებს და აღნიშნავენ, რომ აუცილებელი იყო ცვლილებები. მათი თქმით, მოქალაქეების ნაწილი სესხს უძრავი ქონების შესაძენად, ბიზნესის განვითარებისა და სხვადასხვა საჭირო მიზნით იღებს. ამასთან, საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც სესხი მოქალაქეებმა გაუაზრებლად აიღეს და ასეთი შემთხვევები საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენდნენ მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე. 2018 წელს წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მიერ ვალების გასტუმრებაც იმაზე მიუთითებს, რომ საკმაოდ ბევრი იყო 2000 ლარამდე აღებული სესხი, რომელსაც მსესხებელი ვერ ფარავდა. უნდა ითქვას, რომ დაკრედიტების გამკაცრება აუცილებელი იყო, თუმცა არ უნდა მოხდეს ისე, რომ აღნიშნულმა რეგულაციებმა მთლიანად ეკონომიკის შეფერხება გამოიწვიოს.

რეფორმის განმახორციელებლები აცხადებენ, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი განვადებების გაცემის შემცირება იყო და ამას მათ უკვე მიაღწიეს ამ რეფორმით.²⁵ ისინი გარკვეულ პარალელს სხვა ქვეყნებთანაც ავლებენ. თუკი ადამიანი აშშ-ში ცხოვრობს და სურს სახლის ყიდვა, მაშინ ბანკისთვის თვითრად გადასახდელი პროცენტი მისი ყოველთვიური შემოსავლის 35%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი პირობები სპეციალურად არის გაკეთებული ბანკის მიერ, რადგან ადამიანი არ მოწყდეს იმ აუცილებელ ცხოვრებისეულ პირობებს, რაც აუცილებელია მისი ნორმალური ყოფისათვის.


გამოკითხვის შედეგებით რესპოდენტთა 84% თვლის, რომ ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა გავლენა იქონია იმ ორგანიზაციაზე, რომელშიც იგი მუშაობს. 12% თვლის, რომ გავლენა არ ქონია აღნიშნულ რეფორმებს, 4%-ის აზრით კი უმნიშვნელო გავლენა იქონია.

²⁵ <https://commerciant.ge/ge/post/sheamcira-tu-ara-tanamshromlebi-sabanko-regulaciebis-gamo-saqartvelos>



დიაგრამა 6

რესპოდენტთა 81% დადებითად აფასებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ რეგულაციებს, უარყოფითად კი მხოლოდ 19%.



დიაგრამა 7

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა გავლენა იქონია იმ ორგანიზაციაზე, რომელშიც იგი მუშაობს, თან საკმაოდ უარყოფითი გავლენა იქონია აღნიშნულმა რეფორმამ. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ რეგულაციების დაწესებამ მომხმარებლებს შეუზღუდა კრედიტების აღება და, შესაბამისად, შემცირდა გაყიდვების მოცულობა იმ კომპანიებში, რომლებშიც გამოკითხული ადამიანები

არიან დასაქმებულები. რეფორმის განხორციელებამდე ივარაუდებოდა, რომ მოკლევადიან პერიოდში შემცირდებოდა გაყიდვების მოცულობა, თუმცა გრძელვადიან პერიოდში აღნიშნულ რეგულაციებს დადებითი ეკონომიკური შედეგი მოყვება.

2.3 კონკურენციის სფეროში მიმდინარე რეფორმების გავლენა დაგეგმვის პოლიტიკაზე

როგორც ვხედავთ, დღევანდელი კონკურენციული პოლიტიკა იმისკენაა მიმართული, რომ სექტორებად დაყოს ეკონომიკური სისტემა. მთლიანად ეკონომიკურ გარემოზე ზრუნავს კონკურენციის სააგენტო, თუმცა კონკრეტულ სექტორებში სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოა. მაგალითისთვის, ასეთი ორგანოები არის ეროვნული ბანკი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ასევე - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და ა.შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკა დანაწევრებულია. ეს, თავის მხრივ, იწვევს სისტემის მარეგულირებელი ორგანოს დანაწევრებას, რასაც შედეგად მოყვება ერთი და იგივე ფუნქციების არსებობა, ასევე გამწვანებულია იმის გაგება, თუ სად მთავრდება ერთი ორგანოს უფლებამოსილება და სად იწყება მეორეს ფუნქციების შესრულება.

კონკურენციის შესახებ კანონის 11 მუხლის 4 პარაგრაფში ვკითხულობთ: კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგადაც დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება, თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ კონცენტრაციამ შეიძლება მოიპოვოს დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, თუმცა თუკი იგი არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მაშინ იგი დაშვებულია კანონმდებლობის მიხედვით. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუკი ასეთი კონცენტრაცია პირდაპირ იქნებოდა შეზღუდული.

როგორც ვიცით, ფინანსური სექტორი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე რეგულირებადი სექტორია. მისი რეგულირების ინსტრუმენტების შესახებ ჩამოყალიბებული საერთო ხედვას კი ვხვდებით დოკუმენტში, რომელიც შეიმუშავა ბაზელის კომიტეტმა და ფინანსური სტაბილურობის საბჭომ, ასევე ევროდირექტივებში, სადაც ის ძირითადი მიდგომებია მოცემული, რომლებიც ფინანსური ბაზრების რეგულირებისას უნდა იქნას გამოყენებული.

ხელისუფლების მისია ამ სფეროში ისაა, რომ დახვეწოს ის ინსტიტუციური და საკანონმდებლო წესები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული ამოცანები საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშეც დგას, მისი მარეგულირებელი და საზედამხედველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით.

კონკურენციაში გამარჯვებას უნდა მიაღწიოს იმ ბანკმა, რომელიც ყველაზე მეტად სასარგებლო ფინანსურ მომსახურებას აწარმოებს მომხმარებლებისთვის. ამის მიიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს.

ეფექტიანობის გასაზრდელად კარგი იქნება, თუკი მოხდება საბანკო სფეროში არსებული კანონის („კონკურენციის შესახებ“) გადამუშავება და გათვალისწინებული იქნება თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება და მაქსიმალურად დაუახლოვდება იგი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას.

აღსანიშნავია ის, რომ სხვადასხვა აქტებში არსებობს ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, რომლებიც ხელს უშლიან ბანკებს ეფექტიანად მუშაობაში. ეს უმეტესად ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. ამის გარდა, განზოგადებულად არ არის წარმოდგენილი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი. კანონმდებლობის მოწესრიგების შემთხვევაში ბანკები შეძლებენ გრძელვადიანი სესხების უფრო ხშირად გაცემას, რაც საბანკო სექტორის ზრდას შეუწყობს ხელს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებას საჭიროებს, არის ზედამხედველობა საბანკო სექტორზე. კლავის ბრიაულტის მიხედვით ზედამხედველი ორგანო ეფექტურია იმ დროს,

როდესაც მას შეუძლია კონტროლი გაუწიოს ცვლილებებს რეგულირების ქვეშ მყოფ ინსტიტუტებში და ასევე აკონტროლოს ფინანსური ბაზრის განვითარება.

მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ფინანსური კონგლომერატების წარმოქმნა, რომლის შემდეგაც აშკარა გახდა, რომ ფინანსურ ზედამხედველობას აღარ შეეძლო არსებული ახალი რეალობის კონტროლი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკი აწარმოებს გამოკითხვას 100-მდე ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ.

საზედამხედველო სტრუქტურის ეფექტურობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საჯარო სექტორის ზოგად ხარისხზე, ზედამხედველობის ეფექტურობა ადამიანური კაპიტალის ხარისხის მიმართ ძალზე მგრძობიარეა. სწორმა საზედამხედველო პოლიტიკამ შესაძლებელია დაჩრდილოს სტრუქტურის ესა თუ ის ნაკლოვანება, და პირიქით.

ზედამხედველობის კუთხით, კარგი იქნება, თუკი გაძლიერდება სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი საბანკო სექტორზე. ეს ფუნქცია 2008 წელს ჩამოერთვა საქართველოს ეროვნულ ბანკს და ეს მოქმედება, თავის დროზე, მრავალ კითხვას აჩენდა. ამასთან, ეს ხარვეზი 2009 წელს გამოსწორდა და ისევ ეროვნულ ბანკს დაუბრუნდა ეს ფუნქცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წლის ივლისში შევიდა ცვლილება ეროვნული ბანკის კანონში, რომლის თანახმადაც ეროვნულ ბანკს გამოეყო საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ცალკე ჩამოყალიბდა.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო ბაზარზე საკმაოდ მაღალია კონცენტრაციის დონე (თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის წილი მთლიან სექტორში 75%-ს აღწევს). ამ პრობლემაზე სავალუტო ფონდიც მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლება და ეროვნული ბანკი უნდა გააქტიურდნენ, რომ მოხდეს საქართველოში კაპიტალის ბაზრის და კორპორატიული ფონდების განვითარება. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ იზრუნოს ამ პრობლემაზე, რომ მომავალში უფრო არ გართულდეს სიტუაცია ამ კუთხით. კიდევ ერთი ასპექტი არის საკანონმდებლო ბაზის იმგვარად დახვეწა, რომ საბანკო სექტორში შეიქმნას კონკურენტული გარემო და მხოლოდ 2 ბანკი არ იყოს მთავარი მოთამაშე.

საინტერესო იქნება ასევე იმ ცვლილებების განხილვა, რომელიც შევიდა კანონპროექტში „კონკურენციის შესახებ“. კანონპროექტის ავტორი არის საქართველოს კონკურენციის

სააგენტო. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია²⁶, რომ „კონკურენციის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზი ისაა, რომ მოქმედი კანონი შეიცავს არაერთ სისტემურ და პროცედურულ ხარვეზს, რაც კონკურენციის სააგენტოს ხელს უშლის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში. ცვლილებების შესაბამისად, კანონში დაკონკრეტდება, თუ რა ქმედებები იგულისხმება კონკურენციის შეზღუდვაში. იცვლება ეკონომიკური აგენტის ცნება და ხდება ისეთი ტერმინის ამოღება, როგორცაა „დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა“ და ა.შ. ამასთან, ცვლილებები მომზადდა როგორც ევროკავშირის პროექტის ექსპერტების, ასევე, არაერთი უცხოელი ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების მიღების გარეშე სააგენტოს საქმიანობა იქნება არაეფექტური - ვერ აღსრულდება კანონი სათანადოდ და ბევრი საკითხი დარჩება ღია, განსაკუთრებით, ეკონომიკის რეგულირებად სექტორში კონკურენციის კანონის აღსრულების კუთხით.

რაც შეეხება კანონპროექტიდან გამომდინარე ცვლილებებს, კანონპროექტის შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შემოდის ჯარიმა. კერძოდ, კონცენტრაციის შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე ეკონომიკურ აგენტს/აგენტებისათვის - რაც შეადგენს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის 5%-ს, ასევე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევისათვის - წინა ფინანსური წლის 1%-მდე (განმეორებითობა - 3%-მდე).

ამასთან, იცვლება სააგენტოს მმართველობითი სტრუქტურა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც თავიდანვე არის ჩართული მოკვლევის პროცესში, იცნობს საქმის მიმდინარეობას და ამასთან, წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირსაც. ცვლილებების თანახმად, სააგენტოს მართვის ორგანო

²⁶ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224612?>

იქნება საბჭო, რომელიც შედგება 5 წლის ვადით არჩეული 5 წევრისგან. საბჭოს წევრთა კანდიდატებს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრი.

ასევე იცვლება სააგენტოს უფლებამოსილებებიც, კერძოდ სააგენტო მოკვლევას დაიწყებს, საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით - დღეს მოქმედი კანონმდებლობით საქმის მოკვლევის დაწყების სამი საფუძველია: ა) განცხადება; ბ) საჩივარი და გ) სააგენტოს ინიციატივა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონპროექტი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზეც მოახდენს გავლენას. სააგენტოს მმართველი 5 კაციანი საბჭო იქნება, რაც, თავის მხრივ, საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას (965 000 ლარის ოდენობით). იმ შემთხვევაში, თუკი, ეკონომიკური აგენტების მხრიდან შესაბამისი ნორმების დარღვევა დაფიქსირდება, მათ დაეკისრებათ ჯარიმა კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წესების დარღვევისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის.


აღნიშნული ცვლილებების შემოღება დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან მათ გარეშე კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა არაეფექტური იქნება და ვერ მოხდება კანონის სათანადოდ აღსრულება, ასევე საკმაოდ ბევრი საკითხი დარჩება ღია. კანონპროექტის მიღების შედეგად კი ისეთ კანონს მივიღებთ, რაც კონკურენციის სააგენტოს მუშაობას საგრძნობლად გაზრდის და ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში დადებითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე ცალკეული ეკონომიკური აგენტების საქმიანობასა და სამართლიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე საქართველოში.

მისასალმებელია ასევე საბჭოს შექმნა, რომელიც იქნება სააგენტოს მმართველი ორგანო. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია მრავალ ქვეყანაში (საფრანგეთი, აშშ, პორტუგალია, სერბეთი და ა.შ.). მმართველი ორგანოს ამგვარი მოწყობის უპირატესობა მდგომარეობს გადაწყვეტილების კოლეგიალურ მიღებაში. კოლეგიალური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება იმის შესაძლებლობას ამცირებს, რომ გადაწყვეტილება იქნება მიმართული რომელიმე პირის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისკენ.

ახალი ცვლილებებით სააგენტოს ეძლევა უფლება, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი საკითხის შესწავლის პროცესში (აქამდე მხოლოდ მოკვლევის დროს ეს უფლება). კონკურენციის სააგენტოს სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის პირობებში უკვე შეძლებს ნებისმიერი საკითხის სრულყოფილ და დეტალურ


ანალიზს და ეს გადაწყვეტილების სისწორეზეც აისახება. კანონპროექტის მიხედვით, კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გადასინჯვის უფლება ეძლევა სასამართლოს, რაც საკმაოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. მაგალითისათვის, ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრული გადასინჯვის უფლება აქვს ევროსასამართლოს.

გამოკითხვის შედეგად დადგინა, რომ რესპოდენტთა 69%-ს არ სმენია კონკურენციის სააგენტოს შესახებ, 31%-ს კი აქვს ინფორმაცია აღნიშნული სააგენტოს შესახებ.




დიაგრამა 8

გამოკითხულთა 8% დადებითად აფასებს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობას, 11% უარყოფითად, ხოლო 81%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შეიძლება ითქვას, რომ ამის მიზეზი არის არაინფორმირებულობა. გამოკითხულთა უმეტესობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, რომ შეაფასოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა.



დიაგრამა 9


რესპოდენტთა 52% თვლის, რომ ქართულ ბაზარზე არაა დაცული ჯანსაღი კონკურენცია. 31%-ის აზრით განსხვავებული სიტუაციაა ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში. 17% კი მხოლოდ ზოგიერთ ბიზნეს სექტორში ხედავს ჯანსაღ კონკურენციას.



დიაგრამა 10

გამოკითხულთა 59% თვლის, რომ ჯანსაღი კონკურენციის განსამტკიცებლად გატარებული ღონისძიებები არ იქნება შედეგის მომტანი. 15%-ის აზრით, ასეთი მოქმედებების განხორციელება აუცილებელია, 26% კი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს.

უნდა გატარდეს თუ არა დამატებითი ღონისძიებები ჯანსაღი კონკურენციის განსამტკიცებლად?



დიაგრამა 11

რესპოდენტთა დაახლოებით 70%-ს სმენია კონკურენციის სააგენტოს შესახებ, თუმცა არ აქვთ მისი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და შესაბამისად უჭირთ სააგენტოს საქმიანობის შეფასება. კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ქართულ ბაზარზე არაა დაცული ჯანსაღი კონკურენცია. შესაძლოა ეს მხოლოდ მათი პირადი შეხედულებაა და მათ უბრალოდ არ აქვთ კარგად შესწავლილი სიტუაცია ამ კუთხით. რესპოდენტთა უმეტესობა თვლის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია არ არის, რაიმე მოქმედებების გატარება შედეგს არ გამოიღებს და სიტუაცია იგივე დარჩება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სასურველია, თუკი იქნება უფრო მეტი გამჭვირვალობა და ადამიანებს უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ როგორც სააგენტოების მუშაობის, ასევე მათ მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ. ეს გაზრდის ხალხის ნდობას და ისინი უფრო კარგად იქნებიან განწყობილნი სააგენტოების საქმიანობის მიმართ.

თავი 3. რეგულირების მიმდინარე რეფორმების გავლენა ბიზნესზე (საბანკო სექტორში მომუშავე კომპანიების მაგალითზე)

3.1 „ვითიბი ბანკ ჯორჯია“

ვითიბი ბანკი 1990 წელს შეიქმნა რუსეთის სახელმწიფო ბანკისა და რუსეთის ფინანსთა სამინისტროს შეთანხმებით, თუმცა, თავდაპირველად, მას სხვა სახელწოდება ჰქონდა და სხვა მისია ჰქონდა დაკისრებული. მისი დამფუძნებლების მიზანი იყო, რომ აღნიშნული ბანკის საშუალებით განხორციელებინათ მხოლოდ ისეთი ოპერაციები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას უკავშირდება. დროთა განმავლობაში მოხდა სხვა შედარებით მცირე ზომის ბანკების შექმნა და კრედიტების გაცემაც დაიწყო კერძო და იურიდიულ პირებზე. დღესდღეობით „ვითიბი ბანკი“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკია რუსეთის ფედერაციაში და მისი წმინდა მოგება სულ უფრო იზრდება.

„ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მდიდარი ტრადიციების მქონე ბანკი არის საქართველოში. ბანკი დღევანდელი ფორმით 1995 წელს, 3 სახელმწიფო კომერციული ბანკის შერწყმის შედეგად შეიქმნა. 2005 წლიდან „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ საერთაშორისო ფინანსური ჯგუფ „ვითიბის“ წევრია. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უმსხვილესი აქციონერი „ვითიბი“ ბანკია (აქციების 97.14%).

„ვითიბი ბანკი ჯორჯია“ მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების საკმაოდ მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. მისი საწესდებო კაპიტალი 191 293 მილიონ ლარს შეადგენს. მისი ფილიალები მთელი საქართველოს მასშტაბით არის წარმოდგენილი. თბილისში 20-მდე ფილიალია გახსნილი, ხოლო რეგიონებს რაც შეეხება, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ვხვდებით ფოთში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, მარნეულში, თელავში, ბათუმსა და ზუგდიდში. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ასევე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებაში. 2017 წელს იგი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის გენერალური სპონსორი გახდა. რაც შეეხება სპორტულ აქტივობებს, 2016 წლიდან „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორია, ასევე არის საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ გენერალური სპონსორი.

გაყიდვების გასაზრდელად კომპანია სხვადასხვა ხერხს მიმართავს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ მომხმარებელს სთავაზობს აქციას სამომხმარებლო სესხზე, შემოთავაზების ფარგლებში სესხის გადახდის დაწყება 6 თვეში არის შესაძლებელი. აქციის პირობების თანახმად, უზრუნველყოფის გარეშე, 30 000 ლარამდე, ხოლო თავდების უზრუნველყოფით, 45 000 ლარამდე თანხის აღება არის შესაძლებელი. სესხის მაქსიმალური ვადა 4 წელია. სესხის აღება შესაძლებელია გამარტივებული წესით და შემოსავლების ადგილზევე დადასტურებით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%, ეფექტური 14,87%.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა გავლენა მოახდინა რეფორმებმა „ვითიბი ბანკ ჯორჯიაზე“, კარგი იქნება, თუკი გავეცნობით მის ფინანსურ დოკუმენტებს და ვნახავთ რამდენად შეიცვალა მისი ფინანსური მდგომარეობა წინა კვარტალთან შედარებით. მოცემულია 2019 წლის 1 კვარტლის და 2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემები და განხილულია საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის ანგარიშგება და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტები (იხ. დანართი).

ნაღდი ფულის მოცულობა წინა წლის მე-4 კვარტალთან შედარებით გაზრდილია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. რაც შეეხება ფულად სახსრებს ეროვნულ ბანკში, ამ მხრივ კლება შეინიშნება ლარში, ხოლო უცხოური ვალუტის მოცულობა გაზრდილია. შემცირებულია მთლიანი სესხების მოცულობა, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. შემცირებას ვხედავთ ასევე წმინდა სესხების (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო დავალიანება) კუთხით. ეს ძალიან საინტერესო მაჩვენებელია და როგორც ვხედავთ 2019 წელს გაზრდილი საკრედიტო დავალიანება ბანკის მიმართ, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს. შემცირებულია როგორც დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები, ასევე დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულება. თუ დავაკვირდებით მთლიანი აქტივების მოცულობას, მცირე კლებას დავინახავთ.

ამასთანავე განვიხილოთ ბანკის ვალდებულებები. 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის მონაცემებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია ბანკების დეპოზიტები, თუმცა გაზრდილია მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) და ვადიანი დეპოზიტები. ნასესხები სახსრები შემცირებულია 0-მდე, ხოლო დარიცხული გადასახდელი

პროცენტები და დივიდენდები გაზრდილია ეროვნულ ვალუტაში და შემცირებულია უცხოურ ვალუტაში. მთლიანი ვალდებულებების შემცირებას ვხედავთ როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში. შეიძლება ითქვას, რომ „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ როგორც აქტივები, ასევე ვალდებულებები შემცირებულია 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ შედარებით, თუმცა მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

კიდევ უფრო საინტერესო იქნება მოგება-ზარალის ანგარიშგების განხილვა. იმის გამო, რომ დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები შევიდა ძალაში, იგი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე. სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლების მოცულობა 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია.

თუკი დარგების მიხედვით განვიხილავთ საპროცენტო შემოსავლებს, მაშინ დავინახავთ, რომ ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან და სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები შემცირებულია. შემცირებას ასევე ვხედავთ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე. ამასთან, შემცირებულია საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან და მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის 1-ლ კვარტალში საპროცენტო შემოსავლები დაახლოებით 50 მილიონი ლარით არის შემცირებული, ხოლო უცხოურ ვალუტაში მიღებული საპროცენტო შემოსავლები დაახლოებით 30 მილიონით.

საპროცენტო ხარჯების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 20 მილიონით არის შემცირებული. საგრძნობლად შემცირებულია მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტების და ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტების მოცულობა. კლებას ვხედავთ, ასევე, ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტებისა და სხვა საპროცენტო ხარჯების კუთხით. წმინდა საპროცენტო შემოსავლების მოცულობა დაახლოებით 30 მილიონი ლარით არის შემცირებული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება არასაპროცენტო შემოსავლებს ეროვნულ ვალუტაში, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი კლებაა წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. თუკი შევხედავთ არასაპროცენტო ხარჯებს, მაშინ დავინახავთ რომ მხოლოდ მცირე ზრდაა 2019 წლის 1-ლ კვარტალში, თუმცა წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი უარყოფითი ნიშნით მივიღეთ, რაც საბოლოო ჯამში ცუდად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

თუკი გადავხედავთ კაპიტალის კოეფიციენტებს, დავინახავთ, რომ 2019 წლის 1-ლ კვარტალში პროცენტულად გამოსახული ძირითადი პირველადი კაპიტალისა და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტები გაზრდილია 2018 წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ასევე გაზრდილია საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტიც დაახლოებით 1%-ით. ამავე ზომით არის შემცირებული წმინდა საპროცენტო მარჟა. რაც შეეხება უკუგებას საშუალო აქტივებზე (ROA) და საშუალო კაპიტალზე (ROE), მათი პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირებულია 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, გაზრდილია მთლიანი საპროცენტო შემოსავლების, მთლიანი საპროცენტო ხარჯების და საოპერაციო შედეგების მოცულობა საშუალო წლიურ აქტივებში.

ასევე განვიხილოთ რამდენიმე მაჩვენებელი, რომლებიც გვიჩვენებენ აქტივების ხარისხს. მცირედით გაზრდილია უმოქმედო სესხების და საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (სმდრს) მოცულობა მთლიან სესხებში. ზრდას ასევე ვხედავთ უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების კუთხით. მთლიანი სესხების წლიურმა ზრდის ტემპმა -0.78% შეადგინა იმ დროს, როდესაც წინა წლის მე-4 კვარტალში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15%-ს შეადგენდა. თავის მხრივ, 1% - ით არის შემცირებული რაც შეეხება ლიკვიდური აქტივების მოცულობას მთლიან აქტივებში, ეს მაჩვენებელი გაზრდილია დაახლოებით

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას გვიჩვენებს არის წმინდა მოგება (სხვაობა მთლიან შემოსავალსა და მთლიან ხარჯებს შორის, გაუთვალისწინებელი შემოსავლების/ხარჯების და ბიუჯეტში გადასახადების გადახდის შემდეგ). ეროვნულ ვალუტაში გამოხატული წმინდა მოგების მაჩვენებელი საკმაოდ შემცირებულია წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

შედარებით, ასევე შემცირებულია უცხოურ ვალუტაში გამოსახული წმინდა მოგების მაჩვენებელი. ამასთან, საანგარიშგებო პერიოდში მთლიანი წმინდა მოგება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაახლოებით 15 მილიონი ლარით არის შემცირებული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. წმინდა მოგების შემცირება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით განპირობებულია არასაპროცენტო შემოსავლების შემცირებით.

როგორც ვიცით, ბანკი უნდა ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის, საჭიროა ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.²⁷ ამ კუთხით ბანკის მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი. იგი გამოითვლება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან წმინდა ფულად გადინებასთან. განვიხილოთ აღნიშნული კოეფიციენტის ელემენტები.

მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში გაზრდილია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა შემცირებულია უცხოურ ვალუტაში. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა გაზრდილია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. გაზრდილია არაუზრუნველყოფილი სესხების დაფინანსება, თუმცა შემცირებულია უზრუნველყოფილი დაფინანსების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში. ფულის მთლიანი გადინება 2019 წლის 1-ლ კვარტალში 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით გაზრდილია, ამასთან ცვლილება არ არის იმდენად დიდი, რომ სერიოზული გავლენა მოეხდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე გაზრდილია ფულის მთლიანი შემოდინება, თუმცა სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებითად არ შეცვლილა 2019 წლის 1-ლ კვარტალში.

„ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 2019 წლის 1 კვარტალის ფინანსური მონაცემების შესწავლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გაცემული სესხების მოცულობა არსებითად არ შეცვლილა 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით და შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ეროვნული ბანკის მიერ

²⁷ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3665261?publication=0>. =

შემოღებული რეგულაციებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მხოლოდ რამდენიმე თვეა გასული რეფორმიდან და ცოტა ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ რა შედეგებს მოიტანს იგი „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთვის“ მომავალში.

3.2 „თიბისი ბანკი“

სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი“ 1992 წლის 17 დეკემბერს დაფუძნდა. შემდეგი წლის მათში კი მიენიჭა საერთაშორისო ოპერაციების წარმოების ლიცენზია. 1996 წლის დეკემბერში „თიბისი ბანკმა“ დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება, ასევე გაიხსნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პირველი საკრედიტო ხაზი - 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. 2001 წელს „თიბისი ბანკმა“ მონაწილეობა მიიღო GPI ჰოლდინგის დაფუძნებაში და ამავე წელს იგი მსოფლიოს „წლის საუკეთესო ბანკებს“ შორის დასახელდა. 2004 წლის იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო „თიბისი ლიზინგმა“, რომელიც „თიბისი ბანკმა“ დააფუძნა. 2014 წელს ლონდონის საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაიწყო და შეიძინა ბანკი „კონსტანტას“ აქციათა 100%. 2018 წელს „თიბისი ბანკმა“ პირველი სრულიად ციფრული ბანკი Space გაუშვა საქართველოში.

„თიბისი ბანკი“ სხვადასხვა სოციალურ აქტივობას ახორციელებს. მან 2003 წელს დააარსა ლიტერატურული პრემია „საბა“. 2008 წლის 13 აგვისტოს, საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად დააფუძნა საქველმოქმედო ორგანიზაცია „თიბისი ფონდი“. ბანკი ასევე აფინანსებს ფოტოკონკურსს „ქოლგა“, რომლის მიზანი ახალგაზრდა პროფესიონალთა თუ თვითნასწავლ ფოტოხელოვანთა წახალისება, პოპულარიზება და ფოტოგრაფიის განვითარების ხელშეწყობაა საქართველოში.

„თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ინტეგრაციის სერვისს, რომელიც გაგიმარტივებთ ბანკთან ურთიერთობას. მისი მეშვეობით თქვენ აგზავნით საგადასახადო დავალებებს თქვენი საბუღალტრო სისტემიდან თიბისი ბანკში და იღებთ სხვადასხვა სახის ინფორმაციას ბანკიდან თქვენსავა სისტემაში. თქვენ აღარ მოგიწევთ ინტერნეტ ბანკიდან და ბანკი-კლიენტიდან საბანკო ინფორმაციის ხელით გადატანა თქვენს საბუღალტრო სისტემაში. კომპანია ასევე გთავაზობს სავალუტო ოფციონი. სავალუტო ოფციონი არის ფინანსური ინსტრუმენტი,

რომელიც აძლევს კლიენტს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას მომავალში შეასრულოს კონვერტაცია წინასწარ შეთანხმებული პირობებით, კერძოდ ბანკი და კლიენტი თანხმდებიან დასაკონვერტირებელი თანხის მოცულობაზე (კონტრაქტის ნომინალი) და გაცვლით კურსზე ("სტრაიკი" - strike price), რომლითაც მოხდება წინასწარ განსაზღვრულ თარიღზე (ვალუტირების თარიღი) ვალუტის გაცვლითი ოპერაცია. თუმცა, თუ ვალუტირების თარიღზე მიმდინარე საბაზრო კურსი არის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ოფციონით განსაზღვრული "სტრაიკი", კლიენტს უფლება აქვს არ შეასრულოს კონვერტაცია ოფციონით განსაზღვრული პირობებით.

ბანკი მომხმარებლებს „ერთგულის“ პროგრამას სთავაზობს. „ერთგული“ თიბისი ბანკის ლოიალობის პროგრამაა, რომელშიც თიბისი ბანკის ნებისმიერი ბარათით ბევრ სარგებელს მიიღებთ. ერთგული ბარათით გადახდისას აგროვებთ ყველაზე მეტ ქულას, რომლის დახარჯვა ერთგულ პარტნიორებშია შესაძლებელი. ერთგული ქულების დასაგროვებლად უბრალოდ გადაიხადე ჩვენს პარტნიორ ობიექტებში თიბისი ბანკის ნებისმიერი ბარათით და მიიღე ერთგული ქულა საჩუქრად ყოველ ტრანზაქციაზე.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს, არის სტარტაპერი. სტარტაპერი თიბისი ბანკის პროგრამაა, რომლის მიზანია სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ბიზნესის წამოწყების სტიმულირება. პროგრამა მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას სტარტაპებისთვის. პროგრამა გათვლილია სტარტაპებისთვის, ანუ ახალშექმნილი ბიზნესისთვის, რომელიც ზრდის ფაზაშია და არის მაქსიმუმ 2 წლის. თუმცა, ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად, სტარტაპები გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ. სესხის პროცენტი სტანდარტულია და მისი მოცულობა დამოკიდებულია ბიზნესის ინდივიდუალურ შეფასებაზე.

„თიბისი ბანკი“ მომხმარებლებს ახალ ონლაინ პლატფორმას სთავაზობს. www.businessstool.ge არის სივრცე - ონლაინ პლატფორმა, რომლის მიზანია შექმნას ეკოსისტემა და დააკავშიროს ბიზნესი ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სერვისების მომწოდებლებს. კომპანიებს შეუძლიათ მოძებნონ, შეადარონ და ამოირჩიონ საკუთარი ბიზნესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა: კომპიუტერული პროგრამა, მობილური აპლიკაცია ან ვებ-სერვისი. ტექნოლოგიურ სივრცეში ეს არის ახალი არხი, რომელიც საშუალებას აძლევს

დეველოპერებს საკუთარი ტექნოლოგიური პროდუქტები გახადონ უფრო ცნობადი და გაზარდონ გაყიდვები. www.businessstool.ge შექმნილია, ერთი მხრივ დეველოპერებისთვის და იმ პირებისთვის, რომლებიც ქმნიან პროგრამულ უზრუნველყოფებს ბიზნესისთვის. ვებ-გვერდზე შესაძლებელია, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირად რეგისტრირება, რაც საშუალებას მისცემს დეველოპერებს თავად ატვირთონ ინფორმაცია საკუთარ პროდუქტებზე. მეორე მხრივ პლატფორმა შექმნილია კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ გახადონ ბიზნეს პროცესები ავტომატიზირებული, უფრო მარტივი და ეფექტური. პლატფორმა ქმნის ერთგვარ სივრცეს ბიზნესებისთვის, სადაც ტექნოლოგიურ პროდუქტებზე ინფორმაციის მიღება, გაცვლა და შედარება არის შესაძლებელი. თუკი პიროვნება ქმნის პროგრამულ უზრუნველყოფას ბიზნესისთვის და სურს გააცნოს პროდუქტი დიდ აუდიტორიას, შეუძლია დარეგისტრირდეს და ატვირთოს ინფორმაცია მის პროდუქტზე.

აღსანიშნავია, რომ სს „თიბისი ბანკი“ შეაგროვებს/დაამუშავებს მომხმარებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაცი(ებ)ისთვის და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირ(ებ)ისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

თიბისი ბანკში დანერგილია ძლიერი, დამოუკიდებელი და ბიზნესზე ორიენტირებული რისკების მართვის სისტემა. მისი მთავარი მიზანია, რისკის მართვის ეფექტური სისტემის მეშვეობით ხელი შეუწყოს ბანკის მდგრადი მომგებიანობის უზრუნველყოფას აღებული რისკების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა გავლენა მოახდინა რეფორმებმა “თიბისი ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, კარგი იქნება, თუკი გავეცნობით მის ფინანსურ დოკუმენტებს და

ვნახავთ, რამდენად შეიცვალა მისი ფინანსური მდგომარეობა წინა წელთან შედარებით. დანართში წარმოდგენილია 2019 წლის 1 კვარტლის მონაცემები. განხილულია როგორც საბალანსო უწყისი, ასევე მოგება-ზარალის ანგარიშგება (იხ. დანართი).

ნაღდი ფულის მოცულობა 2019 წლის 1-ლ კვარტალში გაზრდილია წინა წლის მე-4 კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში. ასევე გაზრდილია როგორც მთლიანი სესხების, ასევე წმინდა სესხების მოცულობაც ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მისი საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ გაიზარდა თუ არა „თიბისი ბანკის“ მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა მას შემდეგ, რაც შევიდა ძალაში ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოცულობა გაზრდილია, ცვლილება არ არის იმდენად დიდი რომ რაიმე დასკვნის გამოტანა შევძლოთ. შემცირებას ვხედავთ დარიცხულ მისაღებ პროცენტებსა და დივიდენდების კუთხით. მთლიანი აქტივები მოცულობა 2019 წელს შემცირებულია, თუმცა ცვლილება არ არის იმდენად დიდი, რომ რაიმე არსებით ცვლილებას ქონდეს ადგილი.

„თიბისი ბანკის“ მიერ სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის მოცულობა წინა წლის მე-4 კვარტლის მონაცემებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია. რაც შეეხება სექტორების მიხედვით, ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს, მათი მოცულობა დაახლოებით 50 მილიონით არის შემცირებული. ასევე შემცირებულია ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის სექტორებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დაახლოებით 300 მილიონით არის შემცირებული ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლები, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. შეიძლება ითქვას, რომ „თიბისი ბანკის“ მთლიანი საპროცენტო შემოსავლები 2019 წლის 1-ლ კვარტალში 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით დაახლოებით 500 მილიონით არის შემცირებული. რაც შეეხება საპროცენტო ხარჯებს, მათი მოცულობაც შემცირებულია საგრძნობლად, ეს კი ნამდვილად დადებითად შეიძლება შეფასდეს, საერთო ჯამში, წმინდა საპროცენტო შემოსავლები დაახლოებით 300 მილიონი ლარით არის შემცირებული.

რაც შეეხება არასაპროცენტო შემოსავლებს, მათი მოცულობა 2019 წლის 1-ლ კვარტალში დაახლოებით 250 მილიონი არის შემცირებული 2018 მე-4 კვარტალთან შედარებით, ასევე შემცირებულია არასაპროცენტო ხარჯებიც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი კი, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს, არის წმინდა მოგების მაჩვენებელი. მისი მოცულობა დაახლოებით 70 მილიონი ლარით არის შემცირებული, რაც საკმაოდ მაღალი ციფრია. რთულია იმის თქმა, თუ კონკრეტულად რამ განაპირობა წმინდა მოგების ასე შემცირება, თუმცა, ჩემი აზრით, გარკვეულ როლს ამ პროცესში რეგულირების მიმდინარე რეფორმებიც იქონიებდა, განსაკუთრებით კი ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები.

რაც შეეხება ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ელემენტებს, მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 500,000 ლარით, თუმცა შემცირებულია უცხოურ ვალუტაში. ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა 2019 წლის 1-ლ კვარტალში გაზრდილია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. გაზრდილია არაუზრუნველყოფილი სესხების დაფინანსება, თუმცა შემცირებულია უზრუნველყოფილი დაფინანსების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში. ფულის მთლიანი გადინება 2019 წლის 1-ლ კვარტალში 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 6 მილიონი ლარით, ამასთან ცვლილება იმდენად დიდი არ არის, რომ სერიოზული გავლენა მოეხდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთანავე გაზრდილია ფულის მთლიანი შემოდინება, თუმცა სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებითად არ შეცვლილა 2019 წლის 1-ლ კვარტალში.

3.3 „ლიბერთი ბანკი“

სს „ლიბერთი ბანკი“ არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე 1993 წელს ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ბანკის მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. 2017 წლის 13 ოქტომბერს European Financial Group-მა შეისყიდა ჯგუფის საკუთარი კაპიტალის 74.64%-იანი სააქციო წილი.

ბანკი იღებს ანაზრებს მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის საცალო და კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი სათაო ოფისი მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი 444 ფილიალით, სერვისცენტრით, სადისტრიბუციო ცენტრითა და მობილური სერვის ცენტრი.

ბანკი წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას და მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. მიმოქცევაში არსებულმა აქციებმა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის 24.1% შეადგინა.

„ლიბერთი ბანკი“ სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო პროექტს ახორციელებს. იგი მთელი წლის განმავლობაში 54 მცირე საოჯახო ტიპის სახლს, მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფარს და ბავშვთა სპეციალიზებულ საოჯახო ტიპის სახლის მიერ მოხმარებულ ელექტრო ენერჯისა და ბუნებრივი აირის საფასურს სრულიად ანაზღაურებს. იგი ასევე აქტიურადაა ჩართული სპორტულ აქტივობებში და არის საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ გენერალური სპონსორი. რაც შეეხება საგანმანათლებლო სფეროს, ბანკი აქტიურად თანამშრომლობს „Educare Georgia“-სთან და სხვადასხვა საინტერესო პროექტს ახორციელებს.

„ლიბერთისა“ და „ნიუ ჰოსპიტალს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმადაც პენსიის მიმღები მომხმარებლები სამედიცინო სერვისებს სპეციალურად მათთვის შემუშავებული პირობებით მიიღებენ. განსაკუთრებული პირობებით ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელები 2018 წლის ბოლომდე ისარგებლებენ და 30%-იანი ფასდაკლებით შეძლებენ ჩაიტარონ კვლევები გულის დაავადებების, შინაგანი ორგანოების, სახსრების და სხვა მიმართულებებით.

კომპანია გვთავაზობს პირადი ბანკირის მომსახურებას. პირადი ბანკირი წარმოადგენს თქვენს მთავარ საკონტაქტო პირს და თქვენი ინტერესების დამცველს ბანკში. პირადი ბანკირი გაგიწევთ პერსონალურ საბანკო მომსახურებას და დაგეხმარებათ შეარჩიოთ სასურველი სტრატეგია თქვენი ფინანსური მიზნების მისაღწევად.²⁸ ფინანსური ოპერაციების

²⁸ <https://libertybank.ge/ka/produqtebi/liberty-wealth/piradi-bankiri>.

გასამარტივებლად კომპანია გვთავაზობს Visa Infinite ბარათს. Visa Infinite ბარათით შეძლებთ გადაიხადოთ ათ სხვადასხვა ვალუტაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში კონვერტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გარეშე. ანგარიშები შეგიძლიათ გახსნათ შემდეგ ვალუტებში: GEL (ლარი), USD (აშშ დოლარი), EUR (ევრო), GBP (გირვანქა სტერლინგი), CHF (შვეიცარული ფრანკი), CAD (კანადური დოლარი), RUR (რუსული რუბლი), JPY (იაპონური იენი), HKD (ჰონგკონგური დოლარი) და AUD (ავსტრალიური დოლარი). მაღალი წლიური საპროცენტო სარგებელი ერიცხება თქვენს თითოეულ ანგარიშზე განთავსებულ ყოველდღიურ ნაშთს და ყოველი თვის ბოლოს ჩაგერიცხებათ ანგარიშზე.

ლიბერთი ბანკსა და “First Step Georgia”-ს შორის დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლიბერთი ბანკი დახმარებას უწევს 4 ოჯახის აუტისტური სპექტრით დაავადებულ ბავშვებს. აღნიშნულ ბავშვებს ჩვენი დახმარებით საშუალება მიეცათ იარონ სასწავლო-შემეცნებით ცენტრში და დაეუფლონ სხვადასხვა საქმიანობას.

იმისათვის, რომ უფრო გაყიდვები გაზარდოს, კომპანია სხვადასხვა აქციას იწყებს. კომპანია მომხმარებელს მარტივ იპოთეკურ სესხს სთავაზობს ნებისმიერი ტიპის უძრავი ქონების შესაძენად, ასაშენებლად, გასარემონტებლად. ყველასთვის გასაგები პირობებით. სესხის აღება შეგიძლიათ უძრავი ქონების შესაძენად, ასაშენებლად ან გასარემონტებლად, სხვა იპოთეკური სესხის გადასაფარად და პირობების გასაუმჯობესებლად. მარტივ იპოთეკურ სესხთან ერთად ავტომატურად დაგიმტკიცდებათ 5 000 ლარამდე ლიმიტი, რომლის ათვისება შეგიძლიათ საკრედიტო ბარათით. სესხი გაიცემა მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც - საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების ქონა სავალდებულო არ არის. კომპანია გვთავაზობს სადეპოზიტო სერტიფიკატს. სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ფასიანი ქაღალდების მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტი. თქვენ ყიდულობთ სადეპოზიტო სერტიფიკატს გარკვეული ვადით, რაზეც გერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი. თუ გსურთ დანაზოგის ეფექტურად ინვესტირება მაღალი სარგებლის მისაღებად, სადეპოზიტო სერტიფიკატი დაბანდების საუკეთესო საშუალებაა.

ნაღდი ფულის ოდენობა წინა წლის მე-4 კვარტალთან შედარებით შემცირებულია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. რაც შეეხება ფულად სახსრებს ეროვნულ ბანკში, მათი მოცულობა გაზარდილია. ზრდას ვხედავთ მთლიანი სესხების და წმინდა სესხების კუთხით. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან, როგორც ვხედავთ, 2019 წლის 1-ლ

კვარტალში რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო დავალიანება „ლიბერთი ბანკის“ მიმართ გაზრდილია, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს. შეიძლება იმის თქმა, რომ ეროვნული ბანკის მიერ შემოღებულ საბანკო რეგულაციებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია აღნიშნული ბანკის მიერ სესხების გაცემაზე. შემცირებულია დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები, ასევე შემცირებულია დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების ღირებულებაც. თუ შევადარებთ მთლიანი აქტივების მოცულობას, მცირე ზრდას დავინახავთ, თუმცა ცვლილება არ არის იმდენად დიდი რომ რაიმე არსებითი დასკვნის გაკეთება შევძლოთ.

რაც შეეხება ბანკის ვალდებულებებს, შეგვიძლია დავინახოთ რომ 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტალთან შედარებით, არსებითი ცვლილება არ განუცდიათ ბანკების დეპოზიტებს, თუმცა გაზრდილია როგორც მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები), ასევე მოთხოვნამდე დეპოზიტებიც.

„ლიბერთი ბანკის“ ვალდებულებების ზრდას ვხედავთ როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში. შეიძლება ითქვას, რომ „ლიბერთი ბანკის“ როგორც აქტივები, ასევე ვალდებულებები გაზრდილია 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტალთან შედარებით, თუმცა მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ამჯერად განვიხილოთ „ლიბერთი ბანკის“ მოგება-ზარალის ანგარიშგება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციები შევიდა ძალაში და შესაბამისად იგი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა „ლიბერთი ბანკის“ მიერ მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეიძლება იმის თქმა, რომ სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლების მოცულობა 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია. ასევე გადავხედოთ საპროცენტო შემოსავლებს დარგების მიხედვით. თუკი დავაკვირდებით სექტორების მიხედვით მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს სხვადასხვა დარგების მიხედვით, დავინახავთ რომ გაზრდილია მიღებული საპროცენტო შემოსავლები ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან, ასევე ზრდას ვხედავთ მშენებლობის სექტორზე გაცემულ სესხებზეც. ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ამ კუთხით არის ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, რაც დაახლოებით 180 მილიონი ლარით არის შემცირებული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის 1-ლ კვარტალში მიღებული საპროცენტო შემოსავალი შემცირებულია წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც საკმაოდ უარყოფითად იმოქმედებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდება შემდგომაც. კიდევ ერთი საინტერესო მაჩვენებელი არასაპროცენტო შემოსავლებია, რომელთა მოცულობა წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 40 მილიონით არის შემცირებული.

რაც შეეხება არასაპროცენტო და საპროცენტო ხარჯებს, ორივე მაჩვენებლის მოცულობა შემცირებულია 2019 წლის 1-ლ კვარტალში წინა წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია წმინდა მოგება, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს. ეროვნულ ვალუტაში გამოხატული წმინდა მოგების მოცულობა დაახლოებით 53 მილიონით არის შემცირებული, რაც საკმაოდ მაღალი რიცხვია. ამის მთავარი მიზეზია საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლის შემცირება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების მოცულობა შემცირებულია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში გაზრდილია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა შემცირებულია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, ამასთან ცვლილება არ არის იმდენად დიდი, რომ სერიოზული გავლენა მოეხდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. შემცირებულია არაუზრუნველყოფილი სესხების დაფინანსება. ფულის მთლიანი გადინება 2019 წლის 1-ლ კვარტალში 2018 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით შემცირებულია. ასევე შემცირებულია ფულის მთლიანი შემოდინება, თუმცა სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებითად არ შეცვლილა 2019 წლის 1-ლ კვარტალში.

ასევე განვიხილოთ ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი. მიმდინარე წელს შემცირებულია გაცემული გარანტიების მოცულობა როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. ასევე შემცირებულია ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული გარანტიები. რაც შეეხება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, საგრძნობლად შემცირებულია სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტების ფარგლებში მისაღები თანხები ეროვნულ ვალუტაში, თუმცა გაზრდილია უცხოურ ვალუტაში. ამასთან, გაზრდილია სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტების ფარგლებში გასაცემი თანხები.

საინტერესო იქნება, თუკი თვალს გადავავლებთ კაპიტალის კოეფიციენტებს. პროცენტულად გამოსახული ძირითადი პირველადი კაპიტალისა და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტები შემცირებულია 2018 წლის მე-4 კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, თუმცა დაახლოებით 1%-ით არის გაზრდილი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი. დაახლოებით ამავე ზომით არის შემცირებული წმინდა საპროცენტო მარჟა. რაც შეეხება უკუგებას საშუალო აქტივებზე (ROA) და საშუალო კაპიტალზე (ROE), მათი პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირებულია 2019 წლის 1-ლ კვარტალში. ასევე შემცირებულია მთლიანი საპროცენტო შემოსავლების, მთლიანი საპროცენტო ხარჯების და საოპერაციო შედეგების მოცულობა საშუალო წლიურ აქტივებში.

რაც შეეხება აქტივების ხარისხს, ამ კუთხით რამდენიმე მაჩვენებელი განვიხილოთ. მცირედით შემცირებულია უმოქმედო სესხების და საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (სმდრს) მოცულობა მთლიან სესხებში. ამასთან, ზრდას ვხედავთ უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების კუთხით. 2019 წლის 1-ლ კვარტალში მთლიანი სესხების წლიურმა ზრდის ტემპმა 11,7% შეადგინა, რაც დაახლოებით 2,5% - ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. თავის მხრივ, 1% - ით არის შემცირებული ლიკვიდური აქტივების მოცულობა მთლიან აქტივებში.

„ლიბერთი ბანკის“ 2019 წლის 1 კვარტალის ფინანსური მონაცემების შესწავლის შემდეგ შეგვიძლია იმის თქმა, რომ საკმაოდ შემცირებულია წმინდა მოგების მაჩვენებელი, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისას, თუმცა რთულია იმის თქმა, რომ მხოლოდ რეგულირების მიმდინარე პოლიტიკამ განაპირობა ბანკის ეს მდგომარეობა, თუმცა დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეროვნული ბანკის მიერ შემოღებულმა რეგულაციებმა გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთან, შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგომარეობა გამოსწორდეს და „ლიბერთი ბანკის“ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

რეგულირების მიმდინარე რეფორმების განხილვისას გამოიკვეთა რამდენი ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებს თუ რა გავლენას ახდენენ ნაშრომში განხილული რეფორმები ქართულ კომპანიებზე. თავდაპირველად, განვიხილოთ საპენსიო რეფორმა. ახალ საპენსიო სისტემას გარკვეული ხარვეზები აქვს და ამ ხარვეზებზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ძალიან საინტერესოა დამოუკიდებელი ექსპერტის, მარტინ ჰუთსეზაუთის შემოთავაზებული ალტერნატივა. ასევე კარგი იქნება, თუკი გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნების მაგალითებს და გადმოვიღებთ მათი საპენსიო სისტემების სხვადასხვა კომპონენტებს.

ბიზნეს სექტორზე ამ რეფორმას გარკვეული ზეგავლენა ექნება. პირველ რიგში იმ კუთხით, რომ შემცირდება კომპანიების ფულადი სახსრები და ისინი აღარ მოახდენენ ახალი ინვესტიციების განხორციელებას. ის ფაქტი კი, რომ ასევე შემცირდება კერძო პირების ფულადი სახსრები მოკლევადიან პერიოდში, ნამდვილად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ბიზნეს აქტივობაზე. მოკლევადიან პერიოდში შემცირდება შესყიდვები უმეტესად გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე, რადგან ხელფასის 2% არაა იმდენად დიდი თანხა, რომ ამან ზეგავლენა მოახდინოს პირველადი მოხმარების საქონლის შესყიდვებზე. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ სექტორებში მოხდება გაყიდვების შემცირება.

რაც შეეხება რეფორმის ზეგავლენას კომპანიების დაგეგმვის პოლიტიკაზე, ფირმებმა უნდა გაითვალისწინოს ის ეფექტები, რომელსაც ადგილი ექნება ამ პროცესზე. სახეზე გვაქვს ურთიერთსაპირისპირო ეფექტები. საპროცენტო განაკვეთის შემცირება კომპანიებს მისცემს საშუალებას, რომ მეტი ფულადი სახსრები გამოიტანონ კერძო ბანკებიდან და ამით გაზარდონ თავიანთი ინვესტიციების მოცულობა. ამასთან, მეორე ეფექტი ისაა, რომ თავად კომპანიაც იხდის ფულად სახსრებს და უმცირდება აქტივები.

სასურველია თუკი მეტი საჯაროობა იქნება და მოსახლეობას შეეძლება უფრო კარგად გაეცნოს ახალ რეფორმას. ასევე კარგი იქნება თუკი შემცირდება საშემოსავლო გადასახადი, რაც შეამცირებს მომუშავეების ტვირთს.

ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოთავაზებული საპენსიო სისტემით, სახელმწიფო მოსახლეობაში სოციალურ უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. მომავალში

სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს პენსიაში, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება.

თავის მხრივ, იზრდება საგადასახადო ტვირთი დასაქმებაზე (ფაქტობრივად, ხელფასიდან გადასახადი 20%-დან 23.2%-მდე იზრდება), რაც გააძვირებს სამუშაო ძალას და უარყოფითად იმოქმედებს დასაქმებაზე.

ასევე, დიდ ყურადღებას იქცევს რეფორმაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. განვიხილოთ ეს კერძო ფირმის მაგალითზე.

მაგალითად, თუ დასაქმებულის ხელფასი არის 1000 ლარი, მაშინ ეს თანხა იგივე დარჩება და ამასთან ერთად, დამსაქმებელი კიდევ 20 ლარს ჩარიცხავს ფონდში. ჯამში დამსაქმებლისთვის დასაქმებულის ხარჯი გაიზრდება 20 ლარით.

დამსაქმებლებს შეუძლიათ მოაკლონ საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონდში. ამ შემთხვევაში კი დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება.

იმის გამო, რომ სახელმწიფო საპენსიო ფონდების მართვა/დელეგირებას კერძო სექტორი განახორციელებს, მნიშვნელოვანია რომ გაიზარდოს კორპორაციული მართვის სტანდარტები და მას მიექცეს დიდი ყურადღება, რადგანაც რეფორმის განხორციელების შემდეგ ეს ფონდები მსხვილი ინვესტორები გახდებიან. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საპენსიო ფონდების ადმინისტრირებას იმისათვის, რომ დანაზოგების ინვესტირება და კონცენტრაცია ეკონომიკის მხოლოდ ერთ სექტორებში არ მოხდეს. ასევე უმნიშვნელოვანესია იმ კომპანიების მდგომარეობა, სადაც ხდება ამ ფონდების ინვესტირება და მათი კორპორაციული მართვის ხარისხი. ქვეყანა მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მოახდინოს ადგილობრივი ბაზრის განვითარება საპენსიო ფონდების ინვესტირებისთვის, რათა ნაკლებად იყოს დამოკიდებული ძალიან მგრძობიარე, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე.

განმარტებით ბარათში საქართველოს კანონის პროექტზე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ ვკითხულობთ: „მონაწილის კონტრიბუციის გაანგარიშება ხდება დარიცხული ხელფასიდან

